


ଓଡ଼ିଆ  
ବ୍ୟାକ



## შინაარსი

ქურნალ „კუპილისა:“

I.	ჩიტის სიმღერა ლექსი, ვაჟა-ფშაველასი . . . . .	3
II.	ყვავილების გამყიდველი (მოთხრობა) ნიკო ხეცისშვილისა	4
III.	საღ დაიკარგა ჩვენი ზღარბუნა (გადმოკეთებული) ქახ. იმერისა . . . . .	12
IV.	ტობი (თარგმანი) სონა ციციშვილისა . . . . .	14
V.	რა მოხელება (ხალხური იგავი) — ი. ა — ნისა . . . .	22
VI.	სამი პეპელა, თარგმანი — სამსონ სააბაშიძელისა . . . .	27
VII.	პატარა მოგზაურობა — არჩილა . . . . .	30
VIII.	მინდორი მკის დროს — გბ. გაბაშვილისა . . . . .	33
IX.	შავი მხედრობა, (მოთხრობა მამინ სიბირიაკისა) თარგმ.—შალვა ტატიშვილისა . . . . .	36
X.	პირველი სარდალი რუსთისა სუვოროვი — გ. წერე- ტუბელისა . . . . .	43
XI.	პატარა მკითხველების წერილები . . . . .	57
XII.	წვრილმანი: ხალხური ლექსი, აკროსტიხი, ანდაზები, გამოცანები, ჩქარა გამოსათქმელი, უჯრების გამო- ცანა, ანაგრამა, რებუსი და გამოცანის ახსნა . . . .	60

სამოცვალი  
ესტურითიანი




საყმაწე ვრლო ნახაფებიანი ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,  
დაპურდი, გახდი ყანაო..

o. ღ.

N. VI.

ნელინა გეორგოვე



თბილისი

სტამბა ექვთიმე ივანეს ძე ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქ.

1900



Дозволено цензурою. Тифлисъ, 9-го Июня 1900 г.

თბილი



## ჩიტის სიმღერა.

**Q**ე ჩიტი ვარ — ჩიტუნია ჸაფარა, —  
ვეხ-შიშველი, ტან-შიშველი, ნაცარა,  
სახლი არ მაქვს, კარი არ მაქვს, არც ბინა,  
არსად დედა, რომ ჩემთვის გაეცინა,  
თავის შვილი კალთაში ჩაეწვინა, —  
ეთქვა ჩემთვის ლილინითა ნანინა  
და მეც ტკბილათ იმ ხმაზე დამეძინა.  
ნეტავ რათ მომეწვინა? ვიცი, ვიცი, უგელა ჩემი  
მტერია,  
ალალს და ქორს თვალები უბლვერია,  
რათა ვტირი? ვინ რას მომცემს დარდშია?  
დამიტევენ? — დავემალვი ბარდშია.  
და მანამდე დამბრუნავენ თავზედა  
უქ ვიძღვერებ, არ გამოგალ კარზედა.

ვაჭა-ვეზველა

# ყვავილების გამყიდველნი

I



ით იუთ 13 წლისა და ეველა თავის  
 ამხანაგებზე უფროსი. შესედულო  
 ბითაც უფროსათ გამოიყერებო  
 და, — თავის სერსით, მოსას-  
 რებით და გამჭრიახობით დიდებ-  
 საც კი აკვირებდა. ერთხელ მის-  
 მა უფროსმა ბიძაშვილმა შე-  
 მის ურებზე ქალაქში გაიუღ-  
 ლია. ქალაქის ნახვამ ისეთნაირათ  
 მოხიბლა შიო, რომ მეორეჯერ თა-  
 თქმის მალა დაატანა თავის ბიძა-  
 შვილს, რომ სელმეორეთ ქალაქში  
 წასულიერ და ესეც თან წაეუვანა.

ეს იუთ გაზაფხულის პირზე.

— ბიჭოს, ეს რა კარგი რამ ვნახე! გაიფიქრა გულ-  
 მი შიომ, როცა ქალაქის ერთ ქუჩაზე შენიშნა ფარაჯაში

განვითარების ბიჭი, რომელიც გამოლელს და გაშემუშავავს  
ლელს რაღაცა უვავილების კონებს აწვდიდა და საძაგიუ-  
როდ ფულებს იღებდა. ამ სანახაობას შიო ძრიელ  
გაიტაცა; მის ბიძაშვილს რომ დროზე არ მოეკითხა  
უსათუოთ ჩამორჩებოდა და გზა დაებნეოდა.

— წამო, ბიჭო, შიო, რა ცოვიანივით აქეთ-იქით  
იხედები!.. ეუბნებოდა ბიძაშვილი უკან ჩამორჩენილ შიოს,  
რომელიც ნელა-ნელა მიჩანჩალებდა და თან ქუჩებს ათვა-  
ლიერებდა, თითქოს რაღაცა უნდა დაისწავლოსო. მთელი  
გზა კი, ქალაქიდან სოფლამდე, სულ ის ფარაჯიანი ბი-  
ჭი, აუარებელი ხალხი, უვავილები და ფულები ელანდე-  
ბოდა. ამ ფიქრებში გართულს თითქმის ხმა სულ არ  
ამოუღია, მხოლოთ ერთხელ კი იკითხა:

— ტიტო, ჰა, ტიტო, ი გლეხი ბიჭი რო უვავი-  
ლებს ეიდა, ია არ იქო, ჰა?

— ია იქნებოდა, მარა მაისის ვარდი მომინ-  
დომე!.. ამ დროს ის მეტი რა უვავის! უნასუხა ბიძა-  
შვილმა.

შიოს მოაგონდა თავიანთ ვენახის ღობის ძირი  
და იქაური ია, უეცრათ შეხტა და ტაში შემოჭკ-  
რა. ეს ისე სწრაფათ მოხდა, რომ თითონაც ვერ  
გაიგო, მაგრამ როცა ბიძაშვილმა იკითხა მიზეზი ამ  
უეცრი სისარულისა, შიოს შერცხვა, გაწითლდა და თა-  
ვის ჩაღუნვით ღიმილით გაუხიარა თავის ფიქრები.



მივიღნენ სახლში. მაგრამ შიო კველაზე უწინ ჯერ მაღმი  
გადავიდა, დაათვალიერა ღობის მირებში ია. კმა  
ეოფილებით ერთი ორიოდჯერ აქაც შეგუნტრუშ-  
და და დაბრუნდა შინ. შიო არა ჩვეულებრივ გაჩუმებული  
იყო: ადარავის უძმბო რაც ნახა და გაიგონა. მშობლებ-  
მა ეს დაღალულობას მიაწერეს. დაწენენ დასაძინებლათ,  
მაგრამ შიოს ნახევარზედაც არ სძინებია. ელანდებოდა:  
თავიანთ ღობის მირი, იის კონები, გზა, ქალაქი, უვაკი-  
ლების გაუიდვა, ფულის მიღება და უკცრათ ისე შეფრთ-  
ხიალდებოდა საბნის ქვეშ, გეგონებოდა ნემსი უჩხ-  
ლიტესო. ერთხელ ისე შეხტა, რომ დედაც კი გამოად-  
ვიძა.

გათენდა. შიო უცებ ადგა. დანაურდა, ჩაიწეო კიბეებ-  
ში ჰურის ნამტვრევები, მოსმებნა იჯნის სახრე, თუნუქის  
უკი, რომელიც მან ქალაქის გზაზე იპოვა და გადავიდა  
ბაღში; დაკრიფა ია, ჩაალავა უუთში და გასწია ქალა-  
ქისკენ. როცა კარგად გასცილდა სოფელს, ჩამოჯდა გზა-  
ზე, დააკეთა კონები და ისევ გზას გაუდგა. შიოს სოფე-  
ლი ქალაქზე არ იუ შორს და გზაც თაგქევ მიდიოდა.  
რამდენსამე სას შემდეგ შიომ ქალაქსაც გადასედა და უფ-  
რო სიხარულით დაეჭვა მიოს. ვიდორე ქუჩებში შევიდოდა  
შეჩერდა, მიიხედუმოიხედა და რა შენიშნა რომ წი-  
ნანდელ დღეს დანიშნულ ქუჩაზე მივდივარო, ისევ ფე-  
აკრეფით გასწია.



დილაა. მთელი ქალაქი დიდ მოძრაობაშია. ქუჩაში მისვლა-მოსვლა რომ დაინახა შიომ, ამოიღო კოლოფი- დან ის ერთი კონა, დაიჭირა სელში და მოემზადა გა- საწვდენათ. მაგრამ ვერ გაბედა და ისე გაჩერდა. კოსტა- გამოწეობილმა მგზავრმა შენიშნა რა გაზაფხულის მახა- რობელი, მიიხმო შიო. შიოს გაეხარდა, მოკრძალებით მი- ვიდა, გაუწოდა კონა, მგზავრმა გამოართვა, მიიტანა ცხვირთან, დასუნა და იამა.

— რა მოგცე, ჰა, ბიჭო? ჰყითხა მგზავრმა.

— რაც გნებავდეთ, ბატონო, უპასუხა მორცესვათ შიომ.

— მოიტა მაშ ერთი კონა კიდევ.

შიომ მოაწოდა მეორე კონაც.

— აჸა, გეეოფა ეს! უთხრა მგზავრმა და ჯიბიდან ამოღებული შაური მისცა.

შიომ ცახცახით გამოართვა შაური, მოუჭირა სელი რაც ძალი და ღონე ჰქონდა და მოკურცხდა. მაგრამ თვითონაც არ იცოდა რათ, ან სად მირბოდა. ქვებით მო- კირწლულ ქუჩებზე დაუჩვეველმა შიომ სირბილის ღროს წაიბორძიგა, თავი ვეღარ შეიძაგოა და დედამიწა- ზე გაიშალა. სელიდან გავარდნილი კოლოფი და შაური- ანი წერიალურასუნით აქა-იქ გადაცვიგდნენ. გამწარებული შიო როგორც იუო ადგა, დაეწია ჯერ შაურს, მერე აკ- რივა დაფანტული კონები, გადაათვალიერა, ერთი კიდევ შეხედა ქუჩას და კოჭლობით, თვალებში ცრემლებ მორეულ-



მა გასწია დიდ ქუჩისკენ, იქ კიდევ გაჭერდა ერთი კლნა. ძრიელ გაეხარდა, მაგრამ გაქცევით კი აღარ გაქცეულა.

დიდი ქუჩის ბულვარი მოსეირნე სალსით გატენილია ეო, თითქოს ეველას აქ მოექარა თავი, ერთი ერთმანეთს ძლიერ-და უქცევდენ უგესს. ამათ დანახვაზე შიო ჯერ შორიახლოს გაჩერდა, მიიხედვ-მოიხედა, უნდოდა მისულია ეო ახლოს, მაგრამ გერ გაბედა და ისევ მოშორებით დგომა ამჯობინა. არც აქ იუო ნაკლები სალსი, მაგრამ მაინც შიოს აქ უფრო უშიშრათ ეგონა თავისი თავი. თითქოს გულიც თანდათან უმაგრდებოდა და გაბედულობაც ემატებოდა. ბოლოს მიწოდებაც გაბედა და დიდის მოკრძალებით უშვერდა მგზავრებს უკანასკნელ კონას. ესეც როგორც იუო გაჭერდა. ჯერ რიგიანათ არცყო მოეკიდნა ფულისთვის ხელი, რომ სიხარულისაგან თვალთ ისე აუჭრელდა, რომ ვეღარას ხედავდა თავისს წინ: ვის დაეჯახა, ვის წააწედა, ვის მოსდო სახრე, აღარა ესმოდარა, ვიდრე მიერუებულ ქუჩაზე არ გავიდა. ახედ-ჩახედა, აათვალიერ ჩაათვალიერა ქუჩა და რა დარწმუნდა, რომ დანიშნულ ქუჩაზე სდგას, ფეხ აკრეფით გაიქცა და სულამოუსუნთქავათ ირბინა, იქამდის ირბინა. მანამ ქალაქის გარეთ გავიდოდა. გამოსცდა თუ არა უკანასკნელ სახლს, ფეხი შეაჩერა, ერთი კიდევ მიიხედა უკან, დარწმუნდა, რომ თავის სოფლისკენ ჩირი აქვს ერთი მხიარულათ

დაიღიღინა: აქამდის ჯიბეში შაკუნშელი გრძელებული  
ბი, ახლა ხელიდან გაუშაა, ამათ ჯიბეში ხტუნგა-წკრია-  
ლი დაიწევს, შიოს თითქოს შეემინდა ამ ხმისა, მიიხედ-  
მოიხედა, ხელ მეორეთ ისევ მუჭაში მოჰკრიფა და შებუნ-  
ტრუშდა. სირბილში ხან ეტლში შებმულ ცხენს ჭბამავდა,  
ხან თავგატაცებულ ცხენათ გარდიქცეოდა და ვითომ და  
ვერ აჩერებსო თავისთავს ტპრუ... ტპრუ...ს უკიროდა.

კარგ მანმილზე გასცდა შიო ქალაქს და კარგათაც მოიქან-  
ცა. შეაღდე გადასულიერ და მუცელმაც მანილი დაუწეო.  
უნდა დაეჩუმებინა. შედგა, მიიხედ-მოიხედა და გზა ტბაცი-  
ლის ნაპირს მუოვ დამტვრეულ ქვების გროვაზე წამოჯ-  
და. ამოიღო ჯიბიდან პურის გამსმარი ლუკმები და გუ-  
ლიანათ ღრღნა დაუწეო. მერე ამოალაგა გრომებიც და  
მოინდომა დათვლა, თუმცა შაურიანის მეტსარას სცნობდა,  
მაინცა და მაინც თავისებურათ დაითვალა. ჩაყარა თუნუ-  
ქის უკოში და დაუწეო ჩხარუნი. ამ ღროს გაისმა გზაზე  
მომავალ „ტროიკის“ ხარების წკარუნი. შიო აშ ხმაზე  
შეკრთა, სწრაფათ ამოალაგა უუთიდან გრომები, ჩაიღაგა  
ფრთხილად ჯიბეში და გახწია პურის ლეჭით შინისკენ,  
მომავალ „ტროიკის“ პირდაპირ. გაქანებულ „ტროიკის“  
ცხენებს თითქმის მთელი გზის სიგანე ეჭირათ, მაგრამ  
შიო მაინც არ ერიდებოდა ამ ღროს შიოს ცა ქუდათ  
არ მიაჩნდა და დედა-მიწა ქალამნათ. ამ რიგათ ხან ჭენა-  
ობით, ხან ჩაქაქ-მუნძულით, ხან ტარებ-ნაბიჯით, ხან



კიდევ დაგარდნილ ცხენსავით ფეხების თრევით მოყვანა  
შიომ სახლს.

მის დანახვაზე ასტედა ერთი ალიაქოთი: აუა-  
უნდნენ სახლში, აუაუნდნენ მესობლებში. ერთი უვირის:  
მოვიდა შიო, მეორე: შიო აქ არის, აქა; მესამე: ჰაი,  
შე, შე... შე... მეოთხე: უი, ქა... ქა... ქა... და დიდი ჰა-  
ტარა შემოეხვია. ზოგი ეკითხება თუ სად იუო, ზოგი  
სტუქსავს, თუ რათ შეაშინა დედა, ნათესავები. შიომ კი  
არ იცოდა რა ექნა, რა ეჩასუხნა. ბავშვები გარს შემოეხ-  
ვივნენ და თანავრმნობით შესცეკროდენ შიოს, შვი-  
ლის ჰოვნით გახარებული დედა, შორიახლოს ჩამჯდა-  
რიუო, გიშვიშობდა და თანაც უჯავრდებოდა და არიგებდა  
შვილს. ამ დროს შიოს მუქიდან გაუცვივდა გროშები და  
ჯიბები წერიალი მოიღეს. ამ ხმაზე უველაბ უურები ცეკი-  
ტეს, შიომ კი სიცილი კედარ შეიძაგრა და მალზე ჩაიკუშებულა,  
სხვებსაც გაეცინათ დედამაც ვერ მოითმინა და ამასაც გაეცინა.  
შიომ უოველის ფერი გულახდით უამბო დედას, თუ საიდან  
იშოგა ეს ფული. დედას იამა კიდეც, რადგან მის გა-  
ჭირებულ ოჯახისთვის ეს ორიოდე გროშიც დიდ რამეს  
შეადგენდა. დათვალეს გროშები და აღმოჩნდა სამი  
მაური. შიომაც იმ წამსვე ისწავლა ფულების გარჩევა.

ეს აშბავი მალე მოეფინა სოფელს და იმ დღეებში უველა  
მსოლოთ ამაზედადა ლაპარაკობდა. ამის შემდეგ შიო  
შშირად დადიოდა ქალაქში თუ რაიმე მოიპოვებოდა

სოფელში გასაჟიდი: მარწევი, ან სხვა ხილის მაჭარეებისა, ან წინდები, ის მაშინვე ქალაქისკენ გააქანებდა. ამას არამც თუ დედა არ უძლიდა, აქეზებდა კიდეც, თუნუქის უკის მაგიერ, შიოს ახლა პატარა კალათი დაჭრონდა და ბინათაც ერთი ადგილი ჰქონდა აჩენილი. სხვა ფრივათაც მაღიან დასელოვნდა შიო: ამან კარგი იცოდა, თუ საღ უფრო ადვილათ გაიუიდებოდა კვავილები, გარდა ამისა, უკეთ გაზაფხულობით ბევრი სოფლის ბიჭებიც მიჰებადა თან კვავილებით და თვითონ ბეჭადობდა მათ.

ნიკო ხუცისშვილი

(შემდეგი იქნება)



# სად დაიკარგა ჩვენი ზღარბუნა?

(გადმოცემებული).



ანდორსა და მისაკოს ერთი ჰატარა ჭდარბუნა აჩუქეს; იგი მთელ საფხულს მათ არ სცილდებოდა და ისე შეეჩირა, რომ დაუძახებდნენ თუ არა, იმ წამსევე მოირბენდა, გამოართმევდა მათ სელიდან ჩურის ნაჭერს, ხორცს და კარმიდამოსა და ბაღში არხეინათ დასეირნობდა. ბავუ შეებს ჭდარბუნა ძალიან შეუვარდათ; მის ნემსებსაც კი აღარ ერიდებოდნენ და დიდის მხიარულებათ ჭკვებავდენ მას რძითა და ფუნთუშა ჩურით.

შემოდგომა დადგა. ბავშვებს ახლა სიცივის გამო დიდ ხანს აღარ შეეძლოთ ბაღში სეირნობა, მაგრამ იმდენათ აღარ სწუხდნენ, რადგანაც შემაქცევარი მოთამაშე ამხანაგი სახლში ჭეავდათ.

ოჟ, რა საშინლათ შეწუხდნენ ერთ დილას, როცა მათი საუვარელი ამხანაგი უეცრათ სადღაც გამქრალიერ: ბავშვე-



ბი მთელ დღეს აქეთ-იქით დარბოდენ სადგომში, ეჭხდენ, ეჭხდენ ემებდენ ზღარბსა, მაგრამ მენამ ამაოთ ჩაუარათ.

— „ნეტა სად მიძიალა ჩვენი ზღარბუნა?“ — გაიძახო წენ ბავშვები და ეპითხებოდნენ გველა შინაურებს.

— „აღმითქვით, რომ ზღარბუნას ხელს არ ახლებთ და მაშინ გაჩვენებთ, სადაც არისო,“ — უთხრა მებაღებ გულდაწვეტილ ბავშვებს.

— „აღგითქვამთ, აღგითქვამთ!“ — შეჭვირეს ბავშვებმა. მაშინ მებაღებ ჩაიგანა ისინი ბალში, მიიგანა ბუჩქთან და მიუთითა მიწის ერთ ბეგობზე, რომელიც ბუჩქებშორის ამობურცულიერ. — „მე თვით დავინახე, როგორ სთხრიდა აქ ზღარბუნა ორმოს, აგებდა ძიგ ბალახს და მერე აი ამ ხვრელიდან შეძვრა. ახლა იგი ღრმა მილს მისცემა და მხოლოდ გაზაფხულზე გაიღვიმებს; ხელს ნუ ახლებთ, თორებ, თუ გამოფხილდა, ავათ გახდება.

ბავშვებმა დაიჯერეს მებაღის რჩევა და გაზაფხულს მოომინებით მოელოდნენ.


რა საშინლათ გაეხარდათ, როცა მათი მეგობარი აჲრილის ერთს თბილ დღეს უკანვე დაუბრუნდათ. ზღარბუნა ამდენი ხნის მილისა და უჭმელობის გამო ძლიერ გამხდარიერ. მაგრამ ზამთრის განმავლობაში სახლის კედელების მრავალი თაგვი დაბუდებულიერ და ზღარბუნასაც ეს უნდოდა. დანაკლისს ამით შეისრულებდა.

კახ-იმერელი



୪୩୬୯

(ତାରିଖମାନ)



Նմուշատ օնյ մյմյզարյօնա հիցօնանո  
մագլու ռոմ տուղմուն մյցանձատ քս-  
մօնականէ, մաշրամ առց յրտու օնյ առ  
իսմարինու զոնցինամու, ռոշարց յրտու  
մագլու, ռոմյելնաց ևաելուատ թոնն  
յրէշէ.

ერთ დროს სიდარიბები, ძალა უნებურათ, იმულებული  
გამხადა დაკავშირებულიყავ პარიუს ერთ მიურუებულ ქუჩის  
ღარიბების ბუნავში, სადაც ოთახების მავიერობას ასრუ-  
ლებდა უბრალო ქოხ-მახები. ეზოში ხომ უოველ ნაირი  
სიბინძურე გამეფებულიყო. როდესაც კი ქარი ქროლგას  
დაიწყებდა, უკელა ამ ეზოს მცხოვრებთ შიშის ზარი ეცე-  
მოდათ, ეგონათ ეს არის ქოხები თავზე დაგვენგრევაო. ამ  
სახლის პატრონს პარიუს სხვადასხვა ქუჩებში სამიღოთხი  
კარგი სახლები ჰქონდა, შეეძლო, რასაკვირველია ეს სა-  
ხლებიც დაწესებია და კარგათ გაეკეთებინა, მაგრამ რაღაც

მოსაზრებით ის ამას არ ჩადიოდა და ხშირათ, პირისკონიათა  
ჩვენ გვაუკერიდა, რადგან თქვენ ბევრი ქირის მიცემა არ  
შეგიძლიანთ, ამიტომ ვტოვებ აგრე ამ სახლს, თორებ  
აქამდის გავაკეთებდიო.

ხუმარა მდგმურებმა ამ სახლს „ქარის ხელმწიფის სა-  
სახლე“ დაარქვეს.

ათასნაირი ხალხი იდგა ჩვენ ეზოში. რა წოდების  
კაცს არა ნახავდით იქ გარდა, რასაგვირებელია, ბანკირე-  
ბისა და არისტოკრატებისა. შეხვდებოდით, ძველი ტანი-  
სამოსით მოვაჭრეს, ქუჩაში პაპიროზის ნამწკების დაკრეფა,  
სრულიად უსაქმურსა და მოხეტიალეს, მათხოვრებს, იუ-  
აგრეთვე ორი მოლექსე და ერთიც მხატვარი. მოლექსები,  
რასაგვირებელია შესანიშნავ ლექსებს არა სწერდნენ და მხა-  
ტვარიც სულ დიდი მოძავალის იმედით ატარებდა დროს.

ჩვენი ეზო მუდამ საძიგველ სურათს წარმოადგენდა;  
მოელ დღეს სულ უკირილი და ჩხუბი იურ. ჩხუბობდნენ  
ბავშვები, ილანძლებოდნენ დიდები. ერთი სიტყვით სიბინ-  
ძურე, სიღარიბე და მოწევნილობა, აი რას ვხედავდით უ-  
კელ წამს.

ჩვენი ეზოს ერთ კუნჭულში ერთი პატარა ფიცრის ოთა-  
ხი იურ კედელზე მიდგმული და იმ პატარა ფიცრულში  
სცხოვრობდა ერთი ბრმა მოხუცი, რომელსაც მოელი ეზოს  
მცხოვრები ბიძია რეჟიმონს ემახდნენ და, აი, სწორეთ ამ  
რეჟიმონსა ჰქავდა ერთი პატარა გომია, სახელათ ტობი.

ვინ იურ ბიძია რეუიმონი და საიდან მოვიტრულ ჭრის  
ში ეს არავინ იცოდა. ჩვენი საცოდავი ეზოს მცხოვრები  
არ იყვნენ ცნობის მოუკარენი და ამიტომაც არავინ კუ-  
თხულობდა ბიძია რეუიმონის ვინაობას.

მაგიერათ ჩვენ უველ ს გვიუვარდა ჰატარა ტობი. თუმცა  
ის მეტათ უშნო, ჭუჭიანი და საძაგლათ გაბურმგლული  
იურ, მაგრამ ისეთი ალერსიანი და ჭკვიანი თვალები ჭქონ-  
და რომ უველას თავს გვაუვარებდა. მაიმუნისაებ დაღმუ-  
ჭილი ცხვირჩირით ისეთი ალერსით მოგველაქუცებოდა  
ჩვენ უველას, რომ ძალათ გვამსიარულებდა. უოველ დილას,  
უოველ მდგმურს დაივლიდა და თითქო უველას დილა მშეო  
დობისას გვიშებნებოდა. საწეალი ტობი, არც ერთ ჩვენგანს  
ლუკმა არ მოგვეძევებოდა, რომ საუზმეთ მიგვეცა, მსო-  
ლოთ თავზე ხელს დავუსვამდით ხოლმე და გეტეოდით:  
ჩემო ცუგო, ჩემო ტობი. ისიც სიამოვნებით კუდს გააქნევ-  
და და ახლა სხვასთან წაცუნცულდებოდა.

ეზოში მოთამაშე ბიჭებთანაც ძალიან მეგობრათ იურ  
ტობი. როცა ისინი კუდში წაავლებდნენ ხელს და ისე  
დაუწეებდნენ აქეთ-იქით თრევას, როგორც სულ გრძელი  
ფილოსოფისი, მოთმინებით იტანდა და ბავშვებს არას  
ერჩოდა, თითქო კიდევ უცნებოდა: რა გითხრათ თქვენ  
უჭიშოვები ხართო.

გაჭირვებული ცხოვრება ჭქონდა ჩვენ საწეალ  
ტობის: უოველ დილას ბიძია რეუიმონი მომართავა

და თავის ხრინწიან ძველ სალამურს და სამჯერ ჭედისათვეს  
ჟედ დაუსტვენდა; ამით ის ტობის უმახოდა, მოდი წავიდე  
თო. ტობიც, გაიგონებდა თუ არა სალამურის ხმას, მიირ  
ბენდა ბერიკაცთან, მაშინვე ბიძა რეუიმონი ულზე ბაწარს  
მოაბამდა, რომლის ფალი წერი თითონ მკლავზე ჭქონდა  
მობმული და ასე გაიმძღვარებდა ტობის წინ გზის მაჩვე  
ნებლათ.

უნდა გენახათ რა სანახავი იუო ამ დროს ტობი:  
პირში ხის ჯამით მიცუნცულებდა ბრმა პატრონის წინ და  
სან ერთ ქუჩაზე აატარებდა სან მეორეზე. ბოლოს მიი-  
უვანდა ერთ ხიდთან, სადაც მართლა უფრო ბევრი ხალხი  
დაიარებოდა და იქ გაჩერდებოდა. ბიძა რეუიმონმაც იცო-  
და, რაკი ტობი გაჩერდააალბათ დანიშნულ ადგილს მო-  
კვდითო და მოიკეცევდა ძირს; გაისწორებდა გულზე ჩამო-  
კიდებულ ქაღალდს, რომელზედაც ეწერა: შეიბრალეთ  
საცოდავი უსინათლო მოხუციო და მოიმართებო  
და მოწეალების სათხოვნელათ.

მთელ დღეს აწრიპინებდა ბიძა რეუიმონი სალამურს  
და ტობიც უკანა ფეხებზე დაცუცქებული დაიკერდა პირში  
ჯამს და თითქო უველას მოწეალებასა სთხოვდა. ათასში  
ერთი გამვლელ-გამომვლელი, რომ ჩააგდებდა ჯამი გრო-  
შებს, ეს ტობისათვის დიდი სასისარულო იუო. როგორც  
კი მოღამდებოდა, ბიძა რეუიმონი თავის წინამძღოლით  
გამოსწევდა ქოხისაკენ, გაათავისუფლებდა ტოპს ბაწრია-



საგან და ჯამში მოგროვილი უკლებიდან, ორი გურიაში  
მას დაუტოვებდა. ტობიც დიდ-გულათ გასწევდა ჩვენ პირ-  
დაპირ რომ ესაბი იუო იმასთან და მიაწვდიდა ჯამში  
გროშებს, ესაბაც გადმოუგდებდა ხორცის ნაჭერს, სან-  
დახან ძვლებსაც და ტობი მხიარულათ იქვე გამოძღვიუ-  
და; მერე აიღებდა ისევ პირით ჯამს და დანიშნულ ალაგს  
შეინახავდა, რომ დილით ისევ განეგრძო თავისი საქმე.

ეს ერთი ლუკა ხორცი შეადგენდა ტობის საზრდოს.  
სრულიად კმარიფილიც იუო ამით და, როგორც ბოლოს  
გამოხნდა, არც სურდა თავის ცხოვრება სხვანაირათ შეა-  
ცვალა.

ერთ დილას ბიძა რეჟიმონი აღარ გამოვიდა თავის  
ქოხიდან. დავინახეთ რომ ტობი იჯდა ქოხის კარებთან და  
საცოდავათ წუწენებდა. ეზოს მეთვალუერე შევიდა ბერიკა  
ცის სანახავათ და საცოდავი მკვდარი კი დაუხვდა. მაშინვე  
შეატყობინეს პოლიციას და სამადლოთ საზოგადო სასა-  
ფლაოზე დამარხეს. ტობიმ, სხვა მეზობლებთან ერთათ, სასა-  
ფლაომდის გააცილა თავის პატრონი, სულ ფეხდა-ფეხ მის-  
დევდა იმ ურემს, რომელზედაც მკვდარი ესვენა. დამარხვის  
შემდეგ, მეზობლებთან ერთათ, ტობი დაბრუნდა ჩვენ ეზო  
ში და ისევ ძველებურათ პატრონის ქოხის კარებთან მო-  
იკალათა. ეზოს მეთვალუერეს უნდოდა გაეგდო, მაგრამ  
ცოლმა დაუშალა:

— იუოს ეგ საწეალი ძველებურათ ჩვენ ეზოში, ქურ-

დის მოსიელას მაინც გაგვაგებინებს. უთხრა ცოლმა ქართველი მეთვალუერეს.

ოუმცა სანთლითაც რომ ეძებნა ქურდს მოსაპარავს ვერას იპოვიდა ჩვენ ეზოში, მაგრამ ქმარმა ცოლის სურვილი მაინც შეასრულა და ტობი ისევ ძველებურათ დარჩა ჩვენ ეზოში და ძველიბურათვე მოიკალათა ბიძია რეჟიმონის ქოხის კარებთან.

შეორე დილას ჩვენ შევნიშნეთ რომ ტობი შეა ეზოში წამოუნტელიერ და თითქო რაღაზედაც ფიქრობდა; მერე უცებ წამოხტა, შევიდა ზატრონის ქოხში, გამოიტანა ზირით ჯამი და სადღაც გაქრა.

— დასწუუვლოს დმერთმა, ნახამთ თუ ეგ კუდიანი მაღლი სათხოვრათ არ წავიდესო! მითხრა ერთმა მოლექსემ.

ზაღამოს ტობი ზირში ჯამით ისევ დაბრუნდა, მაგრამ გა უბედურებას... ჯამი ცალიერი მოიტანა.

უნდა გენახათ, რა საცოდავათ მოვიდა, მოწუენილი, კუდ ამოძეუბული; შეაცუნცულა სახლში ჯამი, შეინახა თავის ადგილს და თითონ ისევ კარებთან მოიკუნტა.

მესამე დილას კიდევ დავინახეთ რომ ტობი, ჯამით ზირში, ისევ გაუდგა გზას. მე, მხატვარი და ორივე მელექსე დავედეგნეთ უკან მაღლს, რომ გაგვეგო სად მიდიოდა.

მოლექსის შენიშვნა მართალი გამოდგა; ტობი გაუდგა ნაცნობ ქუჩებს და ბოლოს გაჩერდა იმ ხიდის უკან.

ზე, სადაც ბიძია რევიმონი იჯდა ხოლმე: გამოიწყო უშედებელი, ულებრივ უპანა ფეხებზე, პირში ჯამით და გამვლელ-გამომვლელს საცოდაჭათ შესცეკეროდა. მგ სავრებიც შეჩერდებოდნენ, უცეკეროდნენ და რაკი ვერ მიმსვდარიევნენ, რაშიაც იუო საქმე, მიდიოდნენ თავის გზაზე. ამიტომაც დაბრუნდა წუხელის, საწეალი ტობი, ხელცალიერი და ვერ იუიდა თავისი ჩვეულებრივი ულუფა.

ჩვენ კარგა ხანს ვუცეკირეთ ტობის ქცევას და ძალიან შეგვეცოდა საწეალი. ბოლოს მხატვარმა მოიგონა შემ-დეგი ხერხი: იპოვა თავის ჯიბეში ქაღალდის ნახევი, კა-რანდაში და პატარა ბაწარი, იქვე ხიდის მოაჯირზე დაებ-ჯინა და დასწერა ქაღალდზე შემდეგი: „შეიბრალეთ სა-ცოდავი ძაღლი, რომელსაც მოუკვდა თავისი ბრძა პატრონი.“ და ეს წარწერა ბაწრით ექლზე ჩა-მოჰქიდა.

არ გაუვლია რამდენსამე წამს და ერთმა ქალმა გამო-იარა, მიაქცია უურადღება ტობის უელზე ჩამოკიდებულ ქაღალდს, წაიკითხა წარწერა და სიცილით ჩაუკვდო ორი გროში. იმ წამსვე ტობი გამოიქცა თავის ნაცნობ ეასაბ-თან და ამაეთ გადუგდო უული, მიიღო თავის ულუფა და გაემართა ბინისაკენ.

ტობი კარგა ხანს სცხოვერობდა ასე; უოველ საღამოს მოეხსნიდით წარწერას და დილას ისევ გავუგეოებდით, ხელ ცალიერი არას დროს არ მობრუნებულა.

ერთ დილას ტობი, ჩვეულებრივ, წავიდა და საღმისტეილოთაა  
აღარ დაბრუნებულა. მეც ძალე მოქმორდი „ქარის ხელ-  
მწიფის სასახლეს“ და ვედარ გავიგე ტობის ამბავი.  
სად წავიდა, უპეტესი ბინა იშოვა, თუ უარესს დღეში ჩა-  
უარდა? იქნება დაატევევეს კიდეც, რადგან მათხოვობდა და  
ამისათვის ნების ქაღალდი კი არა ჰქონდა. ერთი სიტ-  
უით ტობი დამეკარგა, მაგრამ იმისი სსოვნა კი სამუდა-  
მოთ ჩამოჩა გონებაში.

სონა ციციშვილი.



## რა მოხელეა?

(სალხში გაგდნილი იგავ-არაკი).



ღმოსავლეთის ხელმწიფის შვილი დიდ ნადირობის დროს ერთ ირემს დაედევნა. მხლებლები ჩამორჩნენ; ხელმწიფის შვილმა ირემი მოჰქლა, მაგრამ უდაბურ ტუემი გზა აერია. მზე კარგა გადისარა, რომ ბეჭრი წვალების შემდეგ ერთ კორდზე გამოვიდა, იქიდან მდინარე დაინახა. მორს სადღაც ჭარბი კომლი ადორდა, ხელმწიფის შვილს დიდათ გაეხარდა და ცხენით იქითვენ გაქუსლა. მოელი დღის დაზალულ — დაქანცულს საშისლათ სწუუროდა და მდინარისკენ გაეშურა, იმის ბედზე მდინარის ნაპირზე სამი ქალი იდგა და კოკებს აკებდა. ხელმწიფის შვილმა ქალებს სალაში მისცა.

— და მმობას ერთი წუალი დამალევინე, მიმართა თხოვნით ხელმწიფის შვილმა ერთ ქალს.

ქალმა იმწამევე განვხო ვერცხლის თასი და ხელმწიფის შვილს მიართვა, მაგრამ იმან ვერცეკი მოასწორო გამორთმევ

ვა, რომ მეორე ქალი მივარდა თავის ამხანაგს და ხელიდღის თასი გამოგლიჯა. მხედარს გული მოუვიდა, მაგრამ თავი მეფურათ, დარბაის ელურათ შეიძაგრა. ქალმა თასიდან წეალი გადაღვარა, ჩავიდა წეალზე, ახლათ აავსო თასი და გადაღვარა, მეორეთ აავსო და კვლავ გადაღვარა, მესამეთ აავსო და ისევ გადაღვარა, მეოთხეთ აავსო და თასით წეალი მხედარს მიაწოდა; ეს ქალი ეველაზე ლამაზი იუო და მხედარსაც უფრო იამა მისი ხელიდან წეალი. მხედარმა წეურვილი მოიკლა, მაღლი გადუხადა და გამოთხოვების ღროს დაეკითხა:

— და მმოას, ეს რა ნიშანი იუო, რომ შენ იმ ქალს არ დაანებე ჩემთვის წეალი ესმია, სამჯერ აავსე და სამჯერვე გადაღვარე, მეოთხეთ აავსე და მასკიო?

— ბატონო ჩემო, თქვენ რომ ის წეალი დაღალულ გულზე მიგერთმიათ საშიშო იუო, ავათ გახდებოდით. ცხენი რომ მოაჭერეთ მრიელ აღელვებული, დაღალული და ოფლიანი ბრძანდებოდით და მეც განგებ გავატარე დორ, დავაგვიანე თქვენთვის წეალის მორთმევაო.

ხელმწიფის შვილმა მაღლობა გადაუხადა, ქალებს გზა გამოჰყითხა და შინისკენ გაეშურა.

შინ მისვლისათანავე მეფის შვილმა გაუმჯდავნა მეფესა და დიდებულებს, რომ ის მენახირის ქალი უეჭველით უნდა ცოლათ შევირთოვო. ბევრი უმალეს: განა მოელ სახელმწიფოში სხვა ქალი გერარ მოგეწონა, რაღა მენახირის



ქალზე მიდგა ჯერით, მაგრამ უმაწვილი მაინც თავის  
სიტუაციას არ გადავიდა: — მე იმაზე ჭკვიან ქალს დუნიაზე  
ვერ ვიძოვით. მეფემ დიდი საჩუქრებით გაამგზავრა ნა-  
ზირვეზირი და ამალა მენახარის ქალის მოსაკითხათ და  
მოსაუყანათ. ქალს რომ გამოუცხადეს რა ბევრიერებაც  
დაატედა თავზე, იმან ნირიც არ შეიძალა; უკელას კი  
ეგონა რომ ქალი სიხარულისგან ვაი თუ ჭკვაზე შეიძა-  
ლოსო. ქალი წადგა გაბედულათ ნაზირვეზირის წინ  
და რიხიანათ ჭკითხა: „რა მოხელეა ხელმწიფის შვილით?“.  
— რა მოხელე უნდა იქოს? გაკვირვებით უნასუსეს  
გეზირებმა, — ხელმწიფის შვილია და მეტი რაღა მოხელე  
გინდა.

— მე რასაკვირველია, უმაწვილი მინახამს და უნდა  
მოგახსენოთ, რომ თვალათ — ტანადობით დასაწუნი არ არის,  
მაგრამ რაც გინდა ძალა დამატანოთ მე იმას ვერ შევირთავ,  
რა ვუკოთ რომ დღეს ხელმწიფის შვილია, თითონ რა მოხე-  
ლეა?, რითი უნდა ვირჩინოთ თავი? თუ კი ხელობას რა-  
სმეს ისწავლის ძაშინ დიდი სიხარულით მივთხოვდებიო.  
თუ არა და ხელმწიფის ტახტიდან გადმოაგდონ, მერქ?  
მერქ ხომ ჩემი შესანახი გახდებაო...

ნაზირვეზირები გაოცემულნი დაბრუნდნენ შინ და უო-  
გელივე მოახსენეს ხელმწიფებელს. ხელმწიფის შვილს ძრელ  
მოეწონა ქალის ჰასუსი და უფრო მეტათ შეუკვარდა. დას-  
ბარეს გამოჩენილი ხელოსანი ოქრომკედით ქსოვისა.

ამან ერთი წლის განმავლობაში მშკენივრათ შეაწეროდნენ  
თავისი ხელობა, ხალისიანათ მომუშავე ხელმწიფის შვილს  
და ქორწილიც დიდის ამბით წლის თავზე გადაიხდეს.

გაიარა კარგა დოომ და ერთ დიდ ნადირობის დროს  
ჰქლავ დაიკარგა ხემლწიფის შვილი. თითქმის მთელი წელი  
წადი ეძებს და იგლოვეს ხელმწიფის კარზე, ბევრმა  
გამოიმგლოვეს კიდეც ეგონათ სადმე ვეფხვს თუ ჩაუვარდა  
კლანჭმიო. დაკარგულის ცოლმა და შვილებმა ხომ კინაღამ  
თავები დაიხოცეს ჯავრისგან, მაგრამ იმედი არ საიდან  
სჩანდა.

ერთ დილას მთელი სასახლე სიხარულით ფეხზე  
აღარ იდგა. ხელმწიფეს წერილი მოსვლოდა დასავლეთის  
ხემლწიფისგან, რომ შენი შვილი ჩემს სახელმწიფოში აღმო-  
ჩნდა, ახლა ჩემთან არის და მალე გამოვისტუმრებ პატივით  
და დიდებითაო.

აი თავის გადასავალისა რა უამით ხელმწიფის შვილმა  
საუვარელ ცოლს:

— მე ნადირმა წამიტეუა, დავადევნე, მხლებლები უკან  
ჩამომრჩნენ, ნადირი მოვკალ, მაგრამ მეც ცხენმა ღრან-  
ტემი ჩამჩქა. მთელ სამ დღეს ვიხეტიალე და უცბათ  
ერთ სოფელს მივადექ. იმათ მტრის ჯარის კაცი ვეგონე  
და ორმოში ჩამაგდეს; ბევრი ვეფხვეწე, ბევრნაირათ ავუხსენი  
მათ, მე აღმოსავლეთის ხელმწიფის შვილი ვარ და თუ  
გამათავისუფლებთ ბედს ეწევით მეთქი, მაგრამ შენც არ მო-



მიკვდე. ილაჯი რომ გამიწედა ვთხოვე ორმოდაწისძინცა  
ამომიუგანეთ, თქვენი ღვთის გულისთვის, მე კაი ხელოსანი  
გარ და უფრო სარგებლობას მოგიტანთ მეთქი. ვერ არ  
დაძიჯერეს, ორმოში ჩამომაწოდეს ოქრომკედის მაფი, ხე-  
ლათ დაგაეთე ზონრები და ვუთხარ, ამიუგანეთ, აქ ვერ  
მოვთავსებულვარ მეთქი. ხალხი გაეხარდა, კაი ოთახი  
დაძითძეს და მეც შევუდგე საქმეს, ერთი კაი სიხალათე  
მოვქარგე და ზედ გამოვიყვანე ეს სიტევები: „მე აღმოსავლე-  
თის ხელმწიფის შვილი ვარ, ღვთის გულისათვის დაძის-  
სენით ტევეობიდან.“

ეს სახალათე ხალხმა თავის ხელმწიფეს მიართვა. იმან  
ასოები გაარჩია, წაიკითხა ჩემი კედრება და მაშინვე  
მაახლა ნაზირ-კეზირი და პატივით მიმიღო თავისთან, ხო-  
ლო დანარჩენი ხომ შენც იცი, ჩემთ ძვირფასო, რაც მოხდა.


— ახლა ხომ ახდა ჩემი სიტყვა, ახლა ხომ მიხვდი  
ხელობის ძალას, სიხარულით უჩასუხა ცოლმა და სიყვა-  
რულით ერთი კიდევ გადაეჭვია თავის გვირგვინოსან  
მეუღლეს.

०. ५.



## სამი პეპელა

(თარგმანი)



როსელ ქვეუანაზე ცხოვრებდა სამი პეპელა: თეორი, წითელი და კვი-  
თელი. ისინი მხიარულათ თამა-  
შობდნენ მზის თბილ სსივებზე, არა  
კითარ დაღალვას არა გრძნობდნენ  
და მიფრნ-მოფრინავდნენ ერთი უა-  
კილიდან მეორეზე. ერთხელ უცხათ  
დაასხა დიდმა წვიმამ და პეპელები  
ძალიან დაასველა.

ეს იგრძნეს პეპელებმა და მოისურვეს საჩქაროთ სა-  
სლში გაფრენა, მაგრამ კარები იმათი ჰატარა სახლისა  
და გეტილი დაზვდათ და გასაღებიც გეღარ იზოვნეს. ამის  
გამო იგინი უნდა დარჩენილიერენ გარეთ. დაღალულ-  
დაქანცულნი წვიმაში უფროდაუფრო სკელდებდნენ.

რადას იქმოდნენ, მიფრინდნენ კვითელ და წითელ  
კვავილებიან ზამბახთან და უთხრეს:

— ლამაზო და კარგო ზამბახო, გვიუავ სიკეთე, გა-  
დაგვიმალე შენი კვავილი ცოტათი, რომ შეგ დამალვა შე-  
გვეძლოს!



მაგრამ ზამბახმა ასე უჩასუხა:—უვითელსა პდგრების  
თელ ჰეპელას მე სიაძოვნებით მივიღებ, თეთრი ჰეპელის  
გამასპინძლება კი არა მსურსო. ამაზე უვითელმა და წი-  
თელმა ჰეპელამ ასე უჩასუხა ზამბახსა:

— არა, თუ ჩვენ თეთრ დაიასაც არ მიიღებ, მაშინ  
ჩვენც აღარ შემოვალო შენთანო.

წვიმა ისევ მოდიოდა და ძლიერ ასხამდა. ჰეპელები  
ახლა თეთრ უყავილიან შრომანასთან მიფრინდნენ და უთხრეს:

— თეთრო, კარგო და ძვირფასო შრომანავ, შენ მაინც  
გვიუგი სიკეთე, გადგვიშალე შენი თეთრი უყავილი ცო-  
ტათი, რომ შევიდეთ და წვიმას დავემალოთ!

მაგრამ შრომანამაც ასე უჩასუხა:

— თეთრ ჰეპელას მივიღებ, რადგანაც იგი ჩემსა-  
ვით იმზირება და მე მგავს, სხვებს კი სწორე გითხრათ,  
კარს კერ გავუდებ.

მაშინ თეთრმა ჰეპელამ ასე უჩასუხა შრომანას:

— დიახ, როგორ არა, უწინამც დღე დამელიოს, თუ  
ჩემს დებსაც არ მიიღებ, მაშინ მეც არა მსურს შენთან შე-  
მოსვლა. უმჯობესია წვიმის ქვეშ დავლენეთ უკელა, ვიდრე  
რომელსამე ჩვენგანს უბედურება რამ მოვათმენინოთ.

ამ სიტყვებით მომორდნენ ჰეპელები შრომანას და გა-  
ფრინდნენ. მხოლოდ მარტო ერთი მხე, ღრუბლებში მიძა-  
ლული, ურს უგდებდა იმ სამი კეთილი მეგობრის ასეთ სა-  
ნაქებო საქციელს, რომელიც ერთი შეორესთვის თავსა

სწირავდნენ. ღრუბლებიდან საჩქაროთ გამოანათა მხრივ ულტა  
მზის შექმა, ოომელმაც გააქრო წვიმა, გაანათა არე-მარე  
და გაათბო ბაღიცა და ჰებელებიც. ცოტა დრომ გარარა  
და მზემ გაამრო ერთგულ მეგობართა სკელი ფროები და  
გაათბო იმათი ტანიცა...

ჰებელებმა სელახლათ დაიწევეს თამაშობა ისე, ოოგორც  
წინეთ და განაგრძეს ცელქობა კარგა საღამოს ბინდამდის,  
შემდეგ გაფრინდნენ თავის სახლში და ტკბილათ დაიძი  
ნეს...

სამსონ სააბაშიოელი.



# კატარა მოგზაურობა



ამ ზაფხულს თბილისის სიცხემ საძინლათ შეგვწესა. ზოგჯერ ისე შეიტროდა ჭავერი რომ სუნთქვაც კი გვიძნელა დებოდა, ჩვენც გავედით სააგარაკო სოფლათ. მორს წასვლა ვერ მოხერხდა და ისევ თბილისის სიახლოეს საქართველოს უწინდელ დედა ქალაქ მცხეთაში წავიდა. რკინის გზის სადგურზე, სიცხისაგან სული გვესუთებოდა ვიდრე მატარებელი დაიმროდა. თბილისს გავცილდით თუ არა სუფთა ჭავერმა დაუბერა, თუმც კი სიცხე მაგდენათ არ განელებულა. ავჭალამდე ხრიავი და გორაკი ადგილებია, მსოლოთ მდინარე მტკვარი აცოცხლებს არე მარეს.

სოფელი ავჭალა თითქმის რომ კენახებიდან შესდგება, აქედან გზა სასიამოვნოა, არე-მარის სურათი სრულებით იცვლება. გავიარეთ მტკვარზე რკინის ხიდი, თუ არა მუსათ გვერდი დაგვიხვდა, თავისი ისტორიული მუხათ-გვერდის კოშკით, სადაც თამარმა და შალვამ ცოლქმრობაზე ფიცი დასდეს.\*)

\*) „თაშან ბატონიშვილი“ რომანი რჩეულოვასა.



გრეული. მივატანეთ მცხეთის ვიწროებს, სადაც მტკვარის მიერთოდა და არაგვი ერთვიან ერომანეთს. სოფელი მცხეთა ამ ორ მდის ნარის შესართავთან მდებრიარობს, მაგრამ ჩვენ გავცილდით სოფელს, რაინის ვზის სადგურზე ჩამოვტით და ამ სადგურის ზევით არმაზის მთის ჩრდილო ფერდობზე, ერთ ჩვენს ნაცნობს ვესტუმრეთ.

ამ ადგილას ტექ ახლათ არის ატესილი, ეტეობა ვანა გება შეუნახავთ და მართლაც რომ სასიამოვნოა ამისთანა ხმელ ქვეუანაში ბუჩქნარი და ტექ.—დღისით აქაც ცხელოდა, თუმცა ისე კი არა როგორც თილისში, მაგრამ დილა და სადამო მშვენიერება უოფილა, მეტადრე როცა მზე და მთვარე ამოდის. მზე აქ ხეობაში ამოდის და ხეობაშივე ჩადის, მთვარე კი ცოტა სამხრეთისკენ გადი ხრება ხოლმე. დამე ფეხის ხმა მიწენარდა; ძაღლების ემფას, ლოკომატივის სტაციას და ფშვენას ხეობა რამდენიმე ადგილს იძეორებდა ისე ცხადათ, გეგონებოდათ იქცე ძაღლი თუ უეფავსო და სხვ. ჩვენც ბეჭრჯელ ვცადეთ და ჩვენ ხმას ხეობა ქვევრივით იძეორებდა.

მცხეთაში გასართობი არა არის რა. სიცხის გამო შორს გერსად მივდიოდით სასეირნოთ, მხოლოთ მტკვარზე ჩავდიოდით ხოლმე ზოგი საბანაოთ ზოგი სასეირნოთ, ამ ადგილას მტკვარი ისე ღრმა კალაპოტებია ჩავარდნილი, რომ გზა ბილიკი ძლივს ჩათხარეს ჩვენთვის. როცა აგრილდა ერთ ღიდ წვიმის შემდეგ ავედით არმაზის მთის თავზე წმ.



ნინოს ეკლესიის სანახავათ — სალოცავათ, მრიულულიშვილი,  
არმაზის ციხე, რომელიც მაღლა მთაშია, სადაც უწინ კურ-  
შები მდგარან, მაგრამ სიშორის გამო ვერ მოვახერხეთ იქ  
წასვლა. ვიუავით აგრეთვე რკინის გზის სადგურის პირ-  
დაპირ, გორნიჩის მამულში, სადაც მთაში წმ. ნინოს ეკლე-  
სია არის, აქ ასვლაც საკმაოთ მნელია. როგორც ეკლესია,  
აგრეთვე მის გარშემო ადგილი ბ—ნს გორნიჩის შეუკეთე-  
ბია, განუახლებია და ახლა მართლა რომ სასიამოწო ად-  
გილია. იქვე წეარო მკლავის სისხოთ გადმოდის, ეკლე-  
სია რუსის მოლოზნების ხელშია. უკელაზე, რასაკირვეუ-  
ლია, ქესანიშნავი სანახავია მცხეთის ძველი დიდებული  
ტაძარი, საქართველოს დედა ქალაქისა. აქ სეუტიცხოველის  
ტაძარში მარხიან საქართველოს მეფენი. ჩვენ გადგისადეთ  
შარაკლისი და მერე მღვდელს ვთხოვეთ გადაეხადა ჰანა-  
შვიდი საქართველოს ბოლონდელ გამოხენილ მეფის ირა-  
კლისა და გიორგისათვის, რომლებიც აქვე კანკელის წინ  
მარხიან. მათი საფლავის მატური მრიელ ღარიბულია.  
გული უკედება უგელა ქართველს, როდესაც მეფის ირა-  
კლის საფლავს ასეთ მდგომარეობაში ხედავს.

არჩიდეთ.



## მინდორი მკის დროს



**რ**ა მშვენიერია ეს თვალ-გაღუწვდენელი ფართო ვაკე, მხოლოდ შორს, შორს საცალა მოჩანს გამსხდარ გორებით შემოფარგლული ტრიალი მინდორი! თვალი ვერ ძლება მისი ყურებით: ზოლი და ზოლი ოქროს მაგვარი, დამწიფებული პურის ყანებისა აჭრელებულია მწვანედ და ლურჯათ მობიბინე სიმინდებით და ფეტვის ყანებით! აღმა-დაღმა შავათ გაწოლილი ანეულის ხნულები ხავერდის სარტყელივით შემოჰკვრია ამ აჭრელებულ მდელოს და უფრო მკაფიოდ აჩენს მის სიმშვენიერეს და მღელვარებას.

თავმომწონე სოსანი, ნაზი ღილილო და ამაყი ძოწი ყაყაჩო ძვირფასის თვლებით შექვედილი სამკაულივით აქა იქ უბნევია მინდვრის სამოსელს.

გრილი, ტკბილი ღილის ნიავი ოდნავ არხევს ყანებს, ყანები სიხარულით ღელვენ, მოძრაობენ, ბიბინებენ, შრიალებენ და მათ იღუმალ, ჩუმ ჩურჩულტუტუნს, ხანდისხან, დრო გამოშვებით, არღვევს ყანის განუყრელი სტუმრის, მწყერის ტყიპ-ტყიპი, და ტოროლას იშ-

ვიათი კივილ-კურიალი.

მაგრამ საუკეთესო სამკაული, საუკეთესო მშვენება, სრულა

დამაგვირგვინებელი ჰანგი მინდვრის ცხოველ მყოფლობას გატუ, მონიისა არის პატარა მღინარე „მტკბანურა“, რომელიც შორეულ ტყით შემოსილ მთიდან გამორბის, თავით ბოლომდის ჩაურბის მინდორს და თავის ვერცხლებრივ ბჭყვრიალ-ციალით, კეკლუცი გრეხა-პრანჭვა-კლაკნით, ნაზი ლიმილით და ლულუნ-ჩუხხუხით ასულდგმულებს, აცოცხლებს ტრიალ მინდორს, მის მშვენებას, მის სიტურფეს, მის სეუხვეს აათიათასებს.

კათათვეა, მინდორი განაბული სდგას. თავის გავსილ უბე-კალთას, თავის ფართოდ გაშლილ-აჭრელებულ სამოსელს მზის მხერვალე სხივებით აესქბს, ამწიფებს პურს, ქერს, შერიას, ატა-როებს სიმინდს; ფეტვს, უგრეხელს, მუხულოს, ოსპს მარცვალს უვსებს. მინდორი განაბულია, ცოტას ხნით ისვენებს. ჯერ დიდი ხანი როდია, რაც მთოხნავთა „ჰერი, ჰო“ შესწყდა; სულ ორი დღე არ არის რაც გუთნის-დედამ უკანასკნელი ალო გაიტანა და მისი ტკბილი სევდით სავსე „ოროველა“ შეჩერდა.

მინდორი ისვენებს, მაგრამ ცალი თვალი ირგვლივ მთის კალთებზე შეფენილ სოფლებისკენ უჭირავს, ის ჰერძნობს რომ იქ ნამგლებს ლესვენ, იქ ვაჟ-კაცნი მოუთმენლათ მამითადისოვის ემზადებიან.

აი ჰაერში გაიშკრიალა კიდეც მეთაურის შემოძახილმა: „გავლესოთ, ძმებო, ნამგალი, პური შეგვეჩნია სამკალი“. და მოუახლოვდა გარინდებულს მინდორს მთელი ჯარი კალთებ-წა-მოკეცილ, სახელო-დამკლავებულ და შუბლ გადატკრეცილ ვაჟკაც-თა რაზმისა.

მინდორი თავით ბოლომდე გააურეოლა, მძლავრათ ამოიფშვინა, მიინძრ-მოინძრა და თითქო უნდოდა თავის ხვედრს გაპქ-ცეოდა. მაგრამ ნელა-ნელა ისევ დაშოშმინდა, გაყუჩდა და თავის არე მარეში ჰირველობა კაცს დაეთმო.

— „აბა, ბიჭო, ჰერი, ჰერი, ასე უნდა მომკოთ ქერი—შეკიფ-ლა ჭვლავ მეთაურმა, წინ გახტა, შემოტრიალდა, თავზე ალმა-

სივით გალესილი ნამგალი შემოიტრიალა, სწრაფლ მოსჭრა უდიდეს ხელეური და ტოლებს პირში აყარა.

„ჰოპუნა! ავხე! ავხე!


ახლა ჩვენი მკაცა ნახე!“

შესძახეს დანარჩენმა მომკელებმაც და ყანას მოედვნენ ტეცხლებრივ.

და მალე სიმღერამ და ნამგლის წკრიალმა მთლათ შთანთქა მინდერის ჰანგები.

კაცის ხმამ, ძლიერთ ძლიერმა დაიმორჩილა ყოველი.

ეპ. გაბაშვილისა.



## ଶାକୀ ମହେଦରନଙ୍କା

(ମନୋକରଣକା ମାମିନ ଶିଥିରିଯାଙ୍ଗିଲ୍ସ)




ଅଧିକାନ ଆଶଳୀ ଫ୍ରେଲିଂଚାର୍ଡୀ ମନ୍ଦିରରେ, ଅବାତାର-  
ଅମ୍ବୁଧଳୀ କ୍ରାମମିଳାନ ହୃଦୟରେବର୍କିପ୍ରିୟ  
ଅଧିକ ଫ୍ରାଙ୍କିଲନ୍ୟେନ. କ୍ରାମମାଶି ଦାର୍କିହା ଏହିତି  
ଦେବେରୀ ଫାକ୍ଟ୍ରିନ୍କୋ, (କ୍ରାମମିଳିଲେ ଫିଲ୍ୟୁ-ରିଗ୍ରିସି  
ମିମିପ୍ରେମି, ଅବାତାର-ଅମ୍ବୁଧଳା ଉତ୍ତରାଖଣ୍ଡରେ), ରମ୍‌ଯେଲୀପ୍ରିୟ ଦିଲକ୍ଷାନ୍ତିରେ  
ଅନ୍ତରେ ତାଙ୍କିରେ „କାନ୍‌ଟ୍ରାନ୍‌କାରାଶତାନ୍“ ଦା ରାଜାପ୍ରିୟ କାଳାଲିଦେବିରେ ଅଲାଙ୍କୁଳିତ,  
ତାନ ଗାଜାଵର୍କ୍ରେବ୍ୟୁଲ୍ଲି ଫୁଲିବୁନ୍ଦେବିତା:

—ଗାନ୍ଧାରିକାରେଲିବା! ରାତ ଉତ୍ସାହିତ ବାଲିରେ ଆଶଳୀ ଫ୍ରେଲିଂଚାର୍ଡୀ, „ଆଶଳୀ  
ଫ୍ରେଲିଂଚାର୍ଦିବା... „ମନ୍ଦିରିଲିପ୍ରାଚୀ ଆଶଳୀ ଫ୍ରେଲିଂଚାର୍ଦିବା!“ ବାତ୍ରିନ୍ଦ୍ରିୟରେ  
ଫ୍ରେଲିଂଚାର୍ଦି ଆଶଳୀ, ମାଗ୍ରାମ ଶାକ୍ତୀ କି ବେଶ ଦେବେରୀ ରହେବା. କେ...କେ.. କେ!  
—ଅକ୍ଷରିତ ଦାତାତାଙ୍କା ଦେବେରମି ଦା ଶେମିରାରା ମନ୍ଦିରି କ୍ରାମମା. ମାଶିନ୍ଦ୍ର-  
ଦି ନିର୍ମାଣ ତାଙ୍କିରେ ଅଲାଙ୍କୁଳିତ, ମନ୍ଦିରି, ଗାନ୍ଧାରିକାରେଲିବା. କାଶାଶି  
ପ୍ରସରିତ ବିଶ୍ଵାସ କରିବାକାରୀ ପରିପ୍ରକାଶ ଦେବେରୀ ମନ୍ଦିରରେ ପରିପ୍ରକାଶ ଦେବିତା.  
—ଅକ୍ଷରି ବିଶ୍ଵାସ କରିବାକାରୀ ପରିପ୍ରକାଶ ଦେବେରୀ ମନ୍ଦିରରେ ପରିପ୍ରକାଶ ଦେବିତା.

— ଆଶଳୀ ବିଶ୍ଵାସ କରିବାକାରୀ ପରିପ୍ରକାଶ ଦେବେରୀ ମନ୍ଦିରରେ ପରିପ୍ରକାଶ ଦେବିତା  
କାରିତା ଦା ଉତ୍ସାହିତ କାରିତା ପରିପ୍ରକାଶ ଦେବେରୀ ମନ୍ଦିରରେ ପରିପ୍ରକାଶ ଦେବିତା. ମେରିବୁ

გაემართა კარებისკენ, იქვე ახლო ფიცრის ტახტზე იწვაუმოვამიშვილის  
სახურე ანდრო და გულიანათ  
ხვრინავდა, ფაქტორმა იმას ღვი-  
ძება დაუწყო:

— შენ ეი! გესმის თუ არა,  
ყური უგდე აქაურობას, რომ  
ყველაფერი რიგზე იყოს, — ეუ-  
ბნებოდა ბერი-კაცი ანდროს და  
თან თავისსავით ბებერ ფარაჯას  
იცვამდა.



დევ დამთქნარა და ისე მოსხლეტით გაიშხლართა თავის სა-

— ვეცდები,  
— უპასუხა ანდრომ  
და თან ისეთი და-  
ამთქნარა, რომ  
ყბებმა ლაწა-ლუ-  
წი დაუწყეს.

— შენ, ეი,  
გესმის თუ არა,  
ბევრი არ დაიძი-  
ნო. — გაუმეორა  
ბერიკაცმა და სა-  
ჩქაროთ კარები  
გაიხურა.

მოსამსახურე  
დარაჯმა ანდრომ  
რაღაც წაიბუტ-  
ბუტა, ერთი კი-  
დევ დამთქნარა და ისე მოსხლეტით გაიშხლართა თავის სა-



წოლზე გეგონებოდათ დაჭრილიაო.

სტამბაში ბნელოდა. მხოლოდ გაჭუჭყიანებულ ფაზრებიდან შემოდიოდა მკრთალი მთვარის სინათლე. ცოტა ხანს სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. უცებ, სადღაც იატაკის ქვეშ გააფხაკუნა თავის; რომ გაიგო ყველანი წასულანო, გამოძრა თავის სოროდან და კრეფა დაუწყო პურის ნამცეცებს, რომლებიც მუდამ დღე რჩებოდა ხოლმე მუშების ნასუფრალიდან; ამითი იკვებებოდა მთელი ჯალაბობა თავისა! მაშ რა ექნათ, სტამბის მელანს და ქალალდს ხომ ვერ სჭამდნენ! დიდი ქმაყოფილი იყო თაგვუნა დღეს რომ სტამბირან ასე ადრე წასულიყვნენ. იმას თავისუფლათ შეეძლო მთელი ოთახების დავლა, მაგრამ როდესაც თაგვმა ასოთამწყობთა კასის ახლოს გაირჩინა, სადაც რიგზე იყო ჩალაგებული მთელი ანბანი, უცბათ მოესმა უცნაური ხმა:

— ჰ...ჰ...ჰ...ჰ...ჰ... ამ ხმას მოჰყა სხვა ხმებიც:

— ე...ე...ე...ე... ა...ა...ა...ა... ო...ო...ო...ო...

— ი, ი, ი, ი აწრიპინდა ერთი ასო, რომელიც ამაოთ ცდილობდა რამე გამოეთქვა. ატყდა საშინელი აურ-ზაური და გამოურკვეველი ხმაურობა: ყველა ხმებს ჰფარავდა ერთი ასოს ხმა.

— უ, უ, უ, უ, უ, უ.

— ბატონებო ასე არ შეიძლება! — აიმალლა ხმა ჰაემ, — რიგზე ვილაპარაკოთ, თორემ ვერავინ ვერაფერს გავიგებთ. ყველაზე მარდი გამოჩნდა ასო „ხ“, რომელმაც ერთი კასიდან მეორე კასაში დაიწყო ხტომა და ამ ხტომიდან გამოვიდა სხვა-და-სხვა ხმები:

— ახ! იხ! ოხ! უხ! — ეს ყვირილი გადავიდა ჯერ წმინდა სიცილზე — ხი... ხი... ხი! და მერე კი ნამდვილ სიცილათ გადიქცა: ხა, ხა, ხა, ხა!

საზოგადოთ ეს ასო ძალიან მხიარული გამოდგა და ამიტომ ძალიან ბრაზობლენ სხვა ასოები, რომლებიც თავ-თავისთვის ჩუმათ ეყარნენ. „უ“ გადახტა თავის მეზობელ „უ“-თან და ორივემ ერთათ შექნეს ბუტბუტი:

— ფუ, ფუ, ფუ, ფუ, ნეტა რაზე იცინიან, მგონი ჭრა-სწორია, საცილო აქ არაფერი არ არის! — ფუ, ფუ, ფუ.

უცბათ ყველა ასოებმა დაიწყეს ხტუნვა! ზოგი მალაყზე დგებოდა, ზოგი ყვიროდა, ზოგს გადაეხვია ხელი-ხელს და დახტოდნენ. ოთახის შუა გულში გაჩნდა ერთი საშინელი კამათი:

— ჰო, ჰო, ჰო! — ყვიროდნენ გადაბმული ჰ და მ.

— არა, არა, არა, უფრო ძალიან ყვიროდა სამი ასო, რომლი-საგანაც შემდგარიყო ეს მთელი სიტყვა.

— წინ, წინ, წინ! ამაყათ მიაბიჯებდა ასო წ და მიათრევდა ი და ნ-არს. კასაში დარჩენილიყვნენ მხოლოდ ორი ასო, რომლებიც თითქო ყველას დავიწყებოდა, ესენი იყვნენ ორ თვალა-მსუბანი ჲ და სუსტი, მოკუნტული ა. ესენი ისე იშვიათათ იხმარებოდნენ აწყობაში, რომ მგონი სულ გადაეჩვინენ ადგილიდან დაძრას და თუ მათ ხან-და-ხან შეაწუხებდნენ, მაშინაც ძალიან წყრებოდნენ.

— ნეტა რისთვის მაწუხებენ, მე საცოდავს, ბებერსა. — იტყოდნენ ხოლმე ჲ და ჲ, როცა ჩავარდებოდნენ აწყობაში.

როცა ასოებმა მეტათ თავი წაიღეს და ძალიან დაიწყეს ხმაურობა, კასიდან მოისმა სასტიკი ბძანება.

— ერთი!.. ორი!.. სამი!.. ვინა ხმაურობს აქა? ჩვენ არ გვიყვარს უწესოება... ყველამ თქვენ-თქვენი ალაგი დაიჭირეთ, გასწით ჩქარა!

— რა? სად? როგორ? რისთვის? — კითხულობდა კითხვითი ნიშანი და თან კასიდან გამოიყურებოდა. — რისთვის? როგორ? სად? რათა?

— გასაკვირველია! — მიუგო იმას გაკვირვებითი ნიშანმა. — მე დიდი ხანია მესმის, ვუყურებ და მიკვირს! ჰო! გასაკვირველია!

ამათ მოჰყვნენ ყველა ნიშნები მართლ-წერისა, ყველაზე გულადი და გამბედავი გამოჩნდა ჩვენი კუზიანი მძიმე; ის პირდაპირ ასოების შუაში გადახტა და თავის ამხანაგებს ძახილი დაუ-



Քյու: մմեծ, այստ, մռմբշվելլյուտ, ჩիշարո... Մյեն չըօքանի պարագանակներ և սուլ ծովով լաւցի կարյօթան. ռահօ-Շյրէրէրուն, Մյանի մոյ-  
ից լաւ և մանին կը օմբդու պայլացյուրո հոգից լաւցի օմբդու.

Ամարտլաւ և ամատմա մռաւզլամ պայլանո հասկումա, ամատտան  
ենթմրածա ժրոյլ մբյունու, ամատո ռելուն Ծիցուս ասուցու կը առա  
քարտարա կապրեծու (մռավազլենո) զյու մռածուն և ու վիճյու պայլա  
տացուստուս պայլունդա, աելա ցասացյուն եօնիպայլու մռաւմուն և մյ-  
ւատ շրմելու վիճածաւցեցիւ.

— ոս, աելա պայլասատցուս կարցո օյնցիւ, — առՇմյունցիւն մմօմյ  
և տան „Հ“-ս յՇպելլյօնուն. — աելա Մյունցիւն լաձարայու?

— հաւոմ, հաւոմ, Մյունցիւն! — լայտանեմյեն պայլանու: —  
մոյլ վիլովիթածս զմյունառետ լայլալազատ, մյորյ հոգուն զավա-  
լունցիւն! եսն օցավակածուն, եսն լացավական, եսն լացավելունուն ոն  
սահունարու մյունուտ, զարցեցն մանինու վայե՛՛! նամլաւուն չաշունցուն  
հայենու լրացրեցիւ!

— պայլանու ժրոյլ մյ մյշավրեցիւ յս ստամենու Շացու մյունո.   
Ցոյտելունցիւն „Հ“ - ներտա հա կարցո օյնցիւնուն, հոմ յրտու հայենո  
ուայտունու ցացաւունուն մյունուտ! հաս օնամդա, ներտա!?

— ո, ո, ո, ո-հա սակագրուսու, մյ կը մռմիւնս լա! — ոմասեռ-  
լա ասու ո.

— մռաւմմունցու, ծարունցիւն, ցամռուսմա երկնիւնուն եմա ոմ ցան-  
յուգունցիւնուն, սադաւ մանինցիւ օլցնեն. — հա սալուն ցոյցուրտ  
հոմ ցտելունուն ստամենու մյունուտ. ցտելունուն, մացրամ յալալուն  
ուսց ցացիմենցուն եռլոմյ, անա յրտու Շոնչյու Ծրուալու ուսց, հոգունը  
մյ; Վորուալունց և Վորուալուն, յրտուս սուրպուտ, տացերու մյեւցա  
եռլոմյ!

— յց հա լուսու համ արու, — վամռուսեա ցացունուսյեցունմա յա-  
լալունմա, հռմելու օյվա կուտեշմու օլու. — ոս, պայլանու լրացրեցիւ  
արու, հոմ մյ յեցտ տյուրու, հոգունը տուզլու, ուբծատ ուսց ցամեցրուն



ხოლმე, რაღაც ტუტუცური ნაფხაჭნებით რომ ვეღარად ფრინველია  
გამასუფთავებს, თორემ თქვენ რა გიჭირთ.

— არა მოითმინეთ, ძმებო! — დაიძახა ასო „ა“-მა და ერთი  
ფეხით წინ წამოიწია — მე თქვენ გეთანხმებით, რომ ბევრსა მუ-  
შაობთ, მაგრამ საჭმე ასოებშია.

— ჰო, ჰო, ჰო! — ერთ ხმათ შეკყვირეს ყველა ასოებმა.

— რასაკვირველია, ბევრნაირი ასოებია! — განაგრძო „ა“-მა —  
მაგალითად „ა“ მთელ კასაში ერთია და მეტათ ხშირათაც იხმა-  
რება, მაგრამ არიან ასოები, რომლებიც მთელი წლობით უხმა-  
რებლათა ჰყრიან. ჩვენ რასაკვირველია, გვთხუპნიან მურით და  
სიცოცხლე გაქვთ რიგიანათაც გვსრესენ მაშინის ქვეშ, მაგრამ,  
სწორეთ რომ ვილაპარაკოთ, უჩვენოთ არა გაკეთდება-რა; ეს ასოთ  
ამწყობებმაც კარგათ იციან და ამიტომ ასოთ-ამწყობთაც მარ-  
თებთ, რომ ცოტა ზრდილობიანათ მოგვექცნენ.

მაშინის დიდი ჩარხი — გაჩუმებული, გამწყრალივით, დინჯათ  
გამოიყურებოდა, თან გულში ფიქრობდა: — მგონია საქმაოთ ვსრი-  
სე ეს მკვეხარაები, ტყვიის კენჭებს რომ გვანანო.

თაგვი კი იჯდა თავის სოროში და ამათ კამათს დაწვრილე-  
ბით ყურს უგდებდა. ბოლოს გულმა ვეღარ მოუთმინა და თავის  
სიტყვაც ჩაუმატა:

— ბატონებო, მოითმინეთ! მე აგიხსნით ყველაფერს. მოგე-  
ხსენებათ, რომ მე უფრო ლამეობით ვსაზრდობ და მთელ ლამეს  
ვფხიზლობ; მე ვიცი ის, რაც სხვებმა არ იციან. როცა ქვეყნის  
ერთ ნახევარს სძინავს, მეორე საქმობს, ოფლა ღვრის. დიახ,  
ღამის სიჩუმეშ შექმნა უდიდესი აზრები, რომლებსაც თქვენ მსწრაფლ  
მოპოვენთ ხოლმე მთელ დედამიწის ზურგზე, ამიტომაც არ არის  
ძალა თქვენზე უძლიერესი. თქვენ ხართ უდიდესნი და ყოვლად  
უძლეველნი მხედრობათა შორის. მაშ, გაუმარჯოს ძლევა-მოსილ  
შავ-მხედრობას! ვაშა!.. ვაშა!..



როცა მეორე დილას მოსამსახურებმ დაგავა სტამბის მიტაფა, ყველა ასოები ჩუმათ, სულ განაბულნი ელაგნენ თავ-თავის ალა-გას, იტაკზე ეგდო მხოლოთ ასო ც. საწყალს თავის სიმძი-მის გამო ვერ მოესწრო სხვებ-თან ერთათ კასაში ჩატომა.

— ესეც ასოთ ითვლება,  
რაღა! ბუტბუტებდა სტამბის  
დარაჯი ანდრო.


— ჩქარა ჩაღი შენს ალა-  
გას, სულელო! აი ახლავე მო-  
ვა ფაქტორი და ვაი თქვენი  
ბრალი, ის გაგარჩევთ თქვენ  
ყველას კარგათ, იმან იცის  
თქვენი ხერხი.

სათ.-აზნ. სკოლის მოსწავლე შალვა ტატიშვილი.



# პირველი სარდალი რუსეთისა

## ԵՍՅԱԿԻՒՅՑՈ.



ოსკოვში 1729 წელს აზნაურს კასილ  
სუეოროვს ეყოლა ვაჟი, რომელსაც  
ალექსანდრე დაარქვეს. მშობლებს  
ძრიელ იამათ ვაჟის შეძენა, რაღა-  
ნაც სხვა შვილი არ ჰყავდათ.

მაგრამ ბავშვი როგორდაც ძრი-  
ელ უსუსური გამოდგა და თუ სიკვ-  
დილს გადარჩებოდა, არ ეგონათ.  
შშობლები თავს ევლებოდენ დედის  
ერთას და გადარჩინეს სიკვდილს,  
მაგრამ დიღხანს მაინც სუსტი იყო.

თუმცა იმდროს რუსეთში თავად-აზნაურობა უფრო სამხედრო სამსახურს ეტანებოდა, მაგრამ, რაღაც პატარა საშა ჯან საღი არ იყო, ამიტომ მამამ პატარაობითვე სამოქალაქო სამსახურისათვის დაუწყო მას მოშზადება. სუვოროვის მამა, იმ დროის შესაფერათ, თვითონაც კარგი ნასწავლი კაცი იყო და შეიღლავა { კარგათ ზრდიდა.

პატარა სუვოროვი საკვირველი ნიჭისა და თვისების ყმაწვილი გამოდგა. პატარაობითვე ადვილათ შეისწავლა, დედა ენას



გარდა, უცხო ენებიც: ფრანგული, ნემეცური, პოლონეული იტალიანური. ამას გარდა ყმაწვილს ისეთი წიგნების კითხვა უფრო უყვარდა, რომლებშიაც სახელოვანი სარდლების ცხოვრება და გმირობა იყო აღწერილი. ის აღტაცებაში მოპყავდა ძველი დროის გმირი სარდლების ომების აღწერას. მაგრამ მამა მისს არ მოსწონდა ისეთი მიღრეკილება თავისი ვაჟისა და უშლიდა კიდეც იმნაირი წიგნების კითხვას, რადგანაც ეშინოდა პოლკში შესვლა არ მონდომოსო. საშას მამა ძრიელ უყვარდა, არ უნდოდა მისი წყენა და ამიტომ სულ ჩუმათ ჰკითხულობდა საყვარელ წიგნებს და თანაც ავარჯიშებდა თავის სხეულს, რომ ღონე მოეკრიფა, შეჩვეოდა ჯაფის ატანას და მოთმენას. იგი დიდ ხანს დადიოდა შეუსვენებლათ ხან ფეხით, ხან ცხენით და თან იარაღის ხმარებასაც ეჩვეოდა:

როცა გაიზარდა სამოქალაქო სამსახურში შესვლაზე გადაჭრილი უარი გამოაცხადა და ეხვეწებოდა საყვარელ მამას, პოლკში ჩამწერეო. თავისი კარგი მეგობრების რჩევით მამაც დაყაბულდა და მან ახლა თითონ დაუწყო მას სამხედრო სამსახურისათვის მოზადება. ასე გადასწყდა პატარა სუვოროვის ბედი, და მანაც ბეჯითათ მოპყიდა საქმეს ხელი.

12 წლისა იყო, როცა იგი მამამ ჩამწერინა გვარდიის პოლკში, მაგრამ ხუთ წელიწადს მხოლოდ ითვლებოდა პოლკში და მშობლების სახლში იმყოფებოდა. ამ ხუთ წელიწადს ალარავინ უშლიდა მას განეგრძო თავისი საყვარელი საქმე და, მართლაც, ძრიელ კარგათ შეისწავლა სხვა და სხვა გვარი სამხედრო საგნები. და როცა 17 წლისა შეიქნა, ჯარში შევიდა.

თითქმის ათი წელწადი იყო სუვოროვი სალდათათ, მაგრამ ყოველ მოვალეობას და შრომას სალდათისას მოთმინებით ჰკისრულობდა. მოსამსახურეს ნების არ აძლევდა, რომ მისთვის წალები და ტანისამოსი გაეწინდა, ყოველიფერს თვითონ აკეთებდა თავისი ხელით. სილდათების სწავლას თავის დღეში არ დაკლდებოდა, ყველა

ბრძანებას უფროსისას ერთგულათ ასრულებდა. ამხანაგ სალდათზე მცდელობის ისე შეაყვარა თავი, რომ როცა ვინმე უფროსათ უნდა აერჩიათ თავის შორის, უთუოთ მას ირჩევდნენ. ამგვარათ, ყაზარმაში ცხოვ-რების დროს სუვოროვმა ზედმიწევნით შეისწავლა რუსის სალდათის სული და გული, მისი საჭიროება და ხასიათი, რასაც ძრიელ დიდი მნიშვნელმა ჰქონდა სუვოროვისათვის მომავალში.

ის პოლკი, რომელშაც სუვოროვი იყო, პეტერგოფში იმყოფებოდა, სადაც მაშინ რუსეთის დედოფალი ელისაბედი ცხოვრობდა. ერთხელ სუვოროვი დარაჯათ იდგა ხელმწიფის ბალში ფანჩატურთან. ამ დროს დედოფალი გამობრძნდა. სუვოროვმა ისე მოხდენილიათ და მარდათ მისცა პატივი, რომ დედოფლის ყურადღება მიიქცა. დედოფალი შეჩერდა და ჰკითხა სახელი და გვარი.

სუვოროვმაც მოახსენა.

— „შეილი ხომ არა ხარ ვასილ ივანეს ძის სუვოროვისა?“ — ჰკითხა დედოფალმა.

— ღიახ! — მოახსენა სალდათმა.


დედოფალს ძრიელ მოეწონა მარჯვე პასუხი და შეხედულება ახალ გაზდა სალდათისა, ამოილო ვერცხლის მანეთიანი და შეაძლია.

— „ვერ ავიღებ, დედოფალო! უპასუხა მოწიწებით სალდათმა; კანონი უკრძალავს სალდათს აიღოს ფული მაშინ, როცა მცველათ არის“.

— „ყოჩაღ!“ უბრძანა დედოფალმა, ლოყაზე ხელი შეახო და მანეთიანი მიწაზე დადო.

— „აიღ მაშინ, როცა მცველობას მორჩე!“ — დაუმატა დედოფალმა.

სუვოროვი სიკვდილამდის ინახავდა იმ მანეთს და ამბობდა, რომ პირველი ჯილდო მან მიიღო მეფისაგან, როგორც მარჯვე სალდათმა; მოხუცებულობაშიაც-კი სიამაყით იგონებდა ხშირათ



ამ ამბავს და იტყოდა, არც ერთ ჯილდოს არ ჰქონდათ მომართავა, როგორც პირველმა ჯილდომ გამახარაო.

ოცდა ხუთი წლისა იყო სუვოროვი, როცა აფიცრის ხარისხი მიიღო. აფიცრობაში კიდევ უფრო გამოიჩინა ყოჩალობა. თვითონ მტკიცეთ ასრულებდა თავის მოვალეობას და სალდათებისაგანაც ითხოვდა სინიდისიერათ აღსრულებინათ თავისი ვალი. მაგრამ ამავე დროს უვლიდა და კარგათ ეპყრობოდა მათ. სალდათებმაც ისე შეიყვარეს თავისი ყოჩალი აფიცერი, რომ ერთი მისი სიტყვა საკმაო იყო, ცეცხლში ჩაცვინულიყვნენ.

1756 წ. ავსტრია და პრუსია ებრძოდნენ ერთმანეთს (შვიდი წლის ომი). რუსეთმა ავსტრიას მიაშველა თავისი ჯარები. ამ ომში სუვოროვმა პირველათ ისახელა თავი და კიდეც დაწინაურდა.

მაგრამ თავისებურობას და უბრალოთ ცხოვრებას არც მაშინ იშლიდა, როცა დაწინაურდა. უბრალო სმა და ჭამა და ჩა-ცმა უყვარდა; სტუმრათ წვევა ეზარებოდა, სარკეში თავის დღეში არ ჩაიხედავდა, თბილ ტანისამოსს არ ჩაიცვამდა, რაც გინდა სიცივე ყოფილიყო. მოურიდებელი და პირში მართლის მთქმელი იყო. ერთი სიტყვით ყველაფერში თავისებური იყო და ბევრჯელ ისე იქცეოდა, კაცი იფიქრებდა, სწორეთ სულელიაო. როცა დაღიოდა ხტუნავდა. ლაპარაკში ლაზლანდარობდა, გამოცანებისა უანდაზების ხმარება უყვარდა. როცა ვისმეს ელაპარაკებოდა, ან იმანჭებოდა, ან კიდევ სულ გაჩუმებული იყო და იმ დროს, როცა მობაასე პასუხს მოელოდა, იგი ერთბაშათ გადიხარხარებდა და გაიქცეოდა ცალ-ფეხზე ხტუნვით.

მთელ დღეს სალდათების სწავლებასა და წრთვნას ანდომებდა, მაგრამ აქაც სულ თავისებურათ მიჰყავდა საქმე. ადგებოდა ლამე, დაიწყებდა მამალივით ყივილს, გამოაღვიძებდა სალდათებს, წაიყვანდა სიჩქარით სადმე შორს, გაიყვანდა მდინარეზე ფონით, მოივლილნენ ტყესა და ველს და მერმე დაქანულები დაბრუნდებოდნენ ბანაკში. მისთვის არც სიცხე იყო, არც სიცივე. ერთი

სიტყვით ისე იქცეოდა და ცხოვრობდა, რომ ზოგს გიურ ეგონ ბევრჯელ მოახსენეს დედოფალს ეკატერინეს მისი, ვითომდა, თავ-ჯარიანობა, მაგრამ დედოფალმა ბრძანა:

— „თავი დაანებეთ! მე იმას თქვენზე კარგათ ვიცნობო“.

და, მართლაც, 1767 წ., როცა პოლონელები ებრძოდნენ რუსებს, სუვოროვმა დაუმტკიცა ყველას, თუ როგორი გმირი სარდალი იყო. ომის ხერხს იგი სამი სიტყვით ხატავდა ხოლმე: „თვალით გაზომვა, სისწრაფე და იერიში“. მან მოკლე ხანში დაიმორჩილა და დაამშვიდა მთელი პოლონეთი და გამარჯვებული დაბრუნდა რუსეთში.

სხვა ბევრ კარგ ლირსებასთან ამ მამაც სარდალს ის ღირსებაცა ჰქონდა, რომ უანგარო კაცი იყო და ამიტომ ბევრჯელ ღარიბათ ცხოვრობდა.

ერთხელ, როცა ეკატერინე დედოფალმა სუვოროვის ჯარი ღაათვალიერა, ძრიელ მოიწონა და ჰკითხა მას:

— „მითხარი, რა ჯილდო უფრო გსურს?“

— „არაფერი არ მინდა, დედოფალო, მოახსენა სუვოროვმა.

— „არა, მაინც მითხარი, რითი დაგაჯილდოვო?“

— „თუ ასეა, დედოფალო, მაშ უბრძანეთ, სადგომის ქირა მისცენ სახლის პატრონს, არ მასვენებს და მეც არა გამაჩნია რა, რომ გავისტუმრო“.

— „განა ისე ბევრია? — ჰკითხა დედოფალმა.

— „ბევრი გახლავს, დედოფალო! სულ ს-ა-მ მ-ა-ნ-ე-თ ნ-ა-ხ-ე-ვ-ა-რ-ი-ა, გაზვიადებით მოახსენა სუვოროვმა.

დედოფალს გაეცინა და, რასაკვირველია, ვალიც გადაუხადა.

1771 წლებში, როცა რუსები ოსმალებს ებრძოდენ, სუვოროვიც მონაწილებას იღებდა თავისი მამაცი ჯარით. ყველაზე უფროსი სარდალი-კი მაშინ რუმიანცოვი იყო. ერთხელ სუვოროვმა მოინდომა ოსმალების ქალაქის თურთუქაის აღება მდინარე დუნაის ნაპირზე. მაგრამ რადგან ეს საქმე ძრიელ ძნელათ მიაჩნდათ,



ბრძანება მოუვიდა, თავი დაენებებია. სუვოროვმა მარწულების შალა, იერიშით დაეცა ქალაქს; დაამარცხა ოსმალების ჯარი, აიღო ქალაქი, რამდენიმე ზარბაზანი, ათი დროშა და 50 გემი წართვა მტერს. მერმე ეს გამარჯვება ასე აცნობა რუმიანცოვს.

„დიდება ღმერთსა, ქება თქვენცა;  
თურთუქი ავიღე, აქა ვარ მეცა“.

მთელი ლაქშარი გაკვირებული იყო სუვოროვის გმირობით, მაგრამ ჯარების მთავარმა სულ სხვა ნაირათ შეხედა საქმეს; სუვოროვი პასუხის გებაში მისცა, რატომ ჩემი ბრძანება არ აღსრულეო, და სიკვდილით დასჯა გადუწყვიტა.

როცა ეს განაჩენი დედოფალს ეკატერინეს წარუდგინეს დასამტკიცებლათ, მან აი ზედ რა დაწერა:

— „მტრის მძლეველის დასჯა ვის გაუგონია!“ და თანაც სუვოროვს ჯილდოთ წმ. გიორგის ჯვარი გაუგზავნა.

სუვოროვმა კიდევ უფრო ისახელა თავი მაშინ, როცა რუსეთმა ხელ მეორეთ დაუწყო ომი ოსმალეთს (1787 წ.).

ამ ომში ავსტრიაც რუსეთის მომხმარე იყო. ავსტრიის ჯარების უფროსი იყო პრინცი კობურგი. ერთხელ ასი ათასი ლაშქარი ოსმალეთისა მიუახლოვდა ავსტრიის ჯარს. შეშინებულმა კობურგმა კაცი აფრინა სუვოროვთან და მისწერა, მოგვეშველეო.

სუვოროვმა ერთი სიტყვა მისწერა: „მოვდივარ!“ და, მართლაც გაეშურა თავისი ჯარით. მაგრამ სუვოროვსა და კობურგს ერთათ ოცდა-ხუთი ათასი კაცი თუ ეყოლებოდათ. როცა კობურგმა სუვოროვის მოახლოება გაიგო, გაეხარდა და შეუთვალა, მობრძანდიო.

მაგრამ სუვოროვმა უპასუხა: „სუვოროვი ლოცვაზე სდგასო“

მეორეთ მოვიდა კაცი და ასეთი პასუხი მიიღო: „სუვოროვი ვახშმათ ზისო.“

მესამეთაც რომ მოვიდა კაცი, შეუთვალა: „სუვოროვს სძინავსო“.

მაგრამ მას სრულებითაც არ ეძინა: ის, თურმე, მაღალ ხეზე ასულიყო და იქიდან ოსმალთა ჯარების ბანაკს ათვალიერებდა.

დილით ადრე მიუახლოვდა თავის ჯარით ავსტრიელებს უნდა მიერთოთ მტერზეო. სთქვა და კიდეც აღასრულა. გაიმართა საშინელი ომი. ოსმალები თავგამოდებით ომობდენ, მაგრამ ვერაფერმა ველარ უშველათ და საშინლათ დამარცხდენ. სუვოროვმა მთელი მათი ბანაკი იგდო ხელში, დროშა და ოთხმოცი ზარბაზანი წაართვა.

ამ იშვიათი გამარჯვებისთვის ეკატირინემ წმ. გიორგის პირველი ხარისხის ჯვარი უბოძა სუვოროვს და გრაფის ლირსებაც მიანიჭა.

კიდევ უფრო გააკვირვა სუვოროვმა ქვეყანა, როცა ოსმალეთის მიუვალი ციხე „იზმაილი“ აიღო. ციხე-ქალაქს სულ ათი ვერსი მანძილი ეჭირა. ერთი მხრით დუნაის მდინარე ექრა და თან მაღალი ქვითკირის კედელი ჰქონდა აშენებული. სხვა მხრიდან მიწის ჯებირი ჰქონდა, სიმაღლით ოთხი საეკნი და თან თხრილი შემოვლებული, სიღრმით შვიდი საეკნი. შიგ 40,000 მეომარი იყო მცველათ, 250 ზარბაზნით. სუვოროვს-კი სულ ოცდა რვა ათასი მეომარი ჰყავდა. მაგრამ იგი მაინც არ შეუშინდა და გადასწყვიტა: ან სიკვდილი, ანუ ძლევაო.

წინ-და-წინ კი ციხის უფროსს შეუთვალი, ნებით დამემორჩილეო.

მან ასეთი ამაყი პასუხი მისცა. „უფრო ადვილათ შეიძლება ცა დაეშვას დედა-მიწაზე და დუნაი უკუ იქცეს, მინამ იზმაილი დაგმორჩილდესო“.

ამ პასუხის შემდეგ სუვოროვმა მოამზადა ჯარი და ლამის სამ საათზე მიიტანა ციხეზე იერიში. ოსმალები მამაცურათ იცავდნენ თავის მიუდგომელ ციხეს, მაგრამ სუვოროვს ვინ გაუმაგრდებოდა. ოცდა სამი ათასი კაცი ამოსწყვიტა, სამოცი მარტო ფაშა მოკლეს, 595 დროშა და 232 ზარბაზანი წაართვა საწყალ ოსმალებს; სხვა დავლას ხომ ანგარიშიც აღარ ჰქონდა.

არავინ ფიქრობდა, თუ სუვოროვი ამ ციხესიმიშვილის მთელ ამიტომაც ყოველ კაცს გაუკვირდა და გმირი სარდლის ქება მთელ ქვეყანას მოეფინა.

ეს გამარჯვება ასე აცნობა სუვოროვმა დედოფალს: „ამაყი იზმაილი თავს იღრექს თქვენი მუხლის წინაშე“.

მართლაც შემდეგ ამისა ოსმალეთმა თავი მოიხარა რუსეთის წინაშე და ზავი ითხოვა.

როცა ამ ზავის გამო იდლესასწაულეს, დედოფალმა ეკატერინემ, სხვა ჯილდოს გარდა, ბრილიანტის ეპოლეტები უბობა სევოროვს.

1793 წ. კიდევ გამოუცხადეს პოლენელებმა ომი რუსეთს. მთელი პონელეთი შეიარაღდა. ამ ომის დროს სუვოროვი მთელი რუსის ჯარის უფროსათ დაინიშნა. დიდი მამაცნობა გამოიჩინა, დასძლია პოლენელები, მათი გამოაჩენილი სარდალი კოსტიუშკა დაატყვევა, თვით ვარშავის ქალაქი აიღო და დედოფალს შემდეგი სიტყვები მისწერა:

— „უმოწყალესო დედოფალო! ურა! ვარშავა ჩვენია“. დედოფალმაც ასე მოკლეთ უპასუხა: „ურა! ფელდმარშალ სუვოროვს!“

ამ ომის შემდეგ მთელი რუსეთი სუვოროვს აღტაცებით მიეგება. პეტერბურლში ცალკე სასახლე დაუნიშნეს საცხოვრებლათ და ყოველ დღეს მეჯლიშებს უმართავდნენ. ის კი სულ უბრალოთ ცხოვრობდა: ერთ პატარა ოთახში წვებოდა, ქვეშ თივას იგებდა და მეჯლიშებიც ჭირივით ეჯავრებოდა.

1796 წ. გადაიცვალა დედოფალი ეკატირინე და გამეფდა მშერატორი პავლე პირველი. ამ ხელმწიფემ თავის ჯარებში ბევრი ცვლილება შემოიღო. ეს სუვოროვს არ მოსწონდა და სამსახურს თავი დაანება. გამოთხვების დროს მისმა მხედრობამ ბევრი იტირა. ამის შემდეგ სუვოროვმა ორი წელიწადი თავის სო-

ფელ კონშანსკუში გადტარა. იქაც იგი თავისებურათ — მისრებულ  
ლათ ცხოვრობდა. დილ-დილით ძრიელ ადრე აღვებოდა, მერე  
სამრეკლოზე აღიოდა, რეკავდა ზარებს, წირვის დროს უამნსა და  
სამოციქულოს თვითონ პკითხულობდა და საცეცხლურს უმზადე-  
ბდა ღვდელს. სადილს ყოველთვის შინა სჭამდა, ნასაღილევს ცო-  
ტას მოისვენებდა და მერე სოფელში დაეხეტებოდა. ექ ხშირათ  
გაერევოდა სოფლის ბალლებში და მათთან პხტოდა და თამაშობ-  
და. როცა ბალლებს ჩხუბი მოუვიდოდათ, გამზავებელი და შემ-  
რიგებელი ის იყო, მაგრამ უფრო ხშირათ პატარებსა და სუსტებს  
ექმაგებოდა, ხოლმე.

საღამოობით-კი ჩაიკეტებოდა თავის სამუშაო ოთახში და ხშირად აოექნებდა წიგნების კოზეაში და მაშინდელი სახელოვანი საფრანგეთის სარდლის ნაპოლეონის ომების გეგმის შინჯვაში.

ნაპოლეონი იყო კორსიკელი აზნაური, სწავლის დროს სა-  
კვირველი ნიჭი გამოიჩინა; მერე მოვიდა პარიჟში და იქ შევიდა  
სამხედრო სამსახურში. იმ დროს საფრანგეთში დიდი არეულობა  
მოხდა. აშით ისარგებლა ნაპოლეონმა, თან-და-თან ამაღლდა, ომე-  
ბში დიდი გმირობა გამოიჩინა და ბოლოს მთელი საფრანგეთის  
იმპერატორი გახდა. მან მთელ ევროპას შიშის ზარი დასკა თვი-  
სი ომებით. აი ამ ნაპოლეონის ომებს აღვენებდა თვალ-ყურს სო-  
ფელში სუვოროვი და ხშირათ იტყოდა:

„დროა, ღმერთმანი, ეს ლაშტირაკი ყმაწვილი შევაჩეროთ, თორემ ნამეტან უზარ-მაზარ ლაჯებსა სდგამსო“.

და, მართლაც, როცა ევროპის შეფეხბს საქმე გაუჭირდათ,  
შეერთდენ და ისე დაუწყეს ბრძოლა ნაპოლეონს. ავსტრიის იმ-  
პერატორმა რუსეთის ხელმწიფებული სთხოვა მიშველება, მაგრამ იმ  
პირობით, რომ შეერთებული ჯარების უფროსათ უთუთოთ სუ-  
ვოროვი დაენიშნა. რუსეთის ხელმწიფე პავლე დათანხმდა; მე-  
ტი გზა არ იყო, სუვოროვი უნდა მოეწვია.



სუვოროვმა რა იცოდა, თავისთვის ცხოვრობდა სოფელში  
თავის პატარა ქოხში და ხშირათ ეს საკვირველი მოხუცი ბალდე-  
ბთან თამაშში იყო გართული.

მაგრამ ერთხელ მოულოდნელათ მიიჭრა მასთან შიკრიკი და იმპერატორის წერილი მიართვა. ხელმწიფე ქებით იხსენიებდა მის უწინდელ გმირობას და სთხოვდა ეკისრა ჯარების უფროსობა. ეს წერილი როცა წაიკითხა, მოხუც სარდალს ცრემლები მოერია, აკოცა წერილს, საჩქაროთ პარაკლისი გადაახდევინა ღვდელს, ოცდა ხუთი თუმანი ისესხა მნათესაგან და დაუყოვნებლათ გასწია პეტრეს ქალაქში.

იმპერატორი გადაეხვია სუვოროვს, გადაჰკოცნა და თავის ხელით დაჰკიდა წმ. ოთანეს დიდი ჯვარი. ერთი საათის შემდეგ მთელმა პეტერბურლმა გაიგო სუვოროვის დაბრუნება და ყველანი ერთმანეთს ულოცავდნენ, მაგრამ ყველაზე უფრო კი ჯარებს უხაროდათ.

სუვოროვი პეტერბულიდან ვენის ქალაქში გაეშურა. აქ აკს-  
ტრიის იმპერატორი და მთელი ხალხი აღტაცებით მიეგებნენ მას.  
იმპერატორმა აკსტრიის ჯარის ფერდმარშლობა უბოძა. ვენიდან  
იტალიაში წავიდა, სადაც საფრანგეთის ჯარები იყვნენ. მაგრამ  
საძაგელი გზები იყო. გზაზე სუვოროვის ეტლი მდინარეში გა-  
დავარდა და სუვოროვი კინალამ დაიმტვრა. როცა ამოიყვანეს, სიცი-  
ლით სთქვა:

„არაუშავს რა, მხოლოდ ის მაწუხებს, რომ საეკლესიო ნო-  
ტები დამისველდათ“.

იტალიაში იმ დროს საფრანგეთს ასი ათასამდის ჯარი ჰყავდა, ჯარების უფროსებათ დარჩეული სარდლები იყვნენ. სუვოროვს კი ბევრათ ნაკლები ჯარი ჰყავდა. ხალხი იტალიაში სუვოროვს დიდი სიხარულით მიეკება და მისგან ელოდნენ შველას და განთავისუფლებას ნაპოლეონის უღლისუგან.



ჰილენელი სარდალი რუსეთისა სუვოროვი.



სუვოროვს უნდა გაედევნა იტალიიდან საფრანგეთის უკუნისამდებარებელი გაენთავისუფლებინა ეს ქვეყანა, გადაევლო თავისი ჯარით ალპიის მთის მწვერვალი და შვეიცარიაში გადასულიყო, სადაც რუსეთის ჯარის მეორე ნაწილი ომობდა.

ამ ომში ისე ისახელა თავი სუვოროვმა, რომ მთელი ქვეყნი-სათვის ხელით საჩვენებელი შეიქნა და სახელი თვისი უკუნისამ-დის უკვდავი ჰყო. მან აქ ყოველი გაჭირება გამოიარა, ყოველი გვარი უძლეველი დაბრკოლება დასძლია და გამარჯვებული დარჩა.

ხუთი თვის განმავლობაში მიუდგომელ მთიან აღილებში დაამარცხა საფრანგეთის საუკეთესო სარდლები, ოცდა ხუთი მა-გარი ციხე აიღო, სამი ათასი ზარბაზანი და ორასი ათასი თოფი წაართვა მტრებს, თვრამეტი ათასი მეომარი ტყვეთ ჩაიგდო ხელ-ში და მთელი იტალია გაანთავისუფლა.

ქება-ლილება სუვოროვისა მთელ ქვეყანას მოეფინა, რუსეთი-სა და ავსტრიის იმპერატორებმა არ იცოდნენ, როგორ გამოეთ-ქვათ თავისი მაღლობა გმირი სარდლისთვის და რა ჯილდოთი დაესაჩუქრებინათ იგი. რუსთა მეფემ მიანიჭა მას ხარისხი იტალიის უუგანათლებულესი თავადისა.

მაგრამ სუვოროვის საკვირველი გმირობა მარტო ომებით არ დასრულებულა იტალიაში. მან მიიღო ბრძანება, გადაევლო ალ-პიის მთების მწვერვალი და შვეიცარიაში მისულიყო. ეს კი ისეთი ძნელი საქმე იყო, რომ, სუვოროვის გარდა, ბევრი ვერავინ აას-რულებდა. მთებში არც გზა იყო ხეირიანი, არც ხიდები და გარ-და ამისა მთები თოვლით იყო მოცული. ამას ისიც დაუმატეთ, რომ გზაზე უველგან საფრანგეთის ჯარები იყვნენ ჩასაფრებულ-ნი, რომლებიც მოსვენებით სიარულს არ აცლიდნენ რუსებს; ასე რომ ერთსა და იმავე დროს კიდეც უნდა ეომნათ და კიდეც უნ-და ემგზავრათ რუსებს. გმირმა სუვოროვმა მაინც ყოველი დაბრ-კოლება დასძლია და, როგორც იყო, ავიდა ალპიის მწვერვალზე.

მაგრამ მწვერვალიდან ქვემოთ მოგზაურობა კიდევ უფრო წერტილი იყო. ზოგან სიარული რომ შეუძლებელი იყო, დაგორდებოდნენ ხოლმე რუსის სალდათები და ისე ჩადიოდნენ ქვემოთ, მინამ სადმე ფეხს არ მოიკიდებოდნენ.

ამ საშინელი მოგზაურობის დროს რუსები მიადგნენ თვალ-უწვდენელ უფსკრულს, რომელზედაც ისეთი ხიდი იყო, რომ ეშმაკს გაუჭირდებოდა გასვლა და ამიტომაც ამ ხიდს მართლაც „ეშმაკის“ ხიდს ეძახდნენ. სუვოროვი არც ამ ეშმაკის ხიდს შეუშინდა. ფრანგების ჯარების სარდლებს ეკონათ, აქ კი უთუოთ ჩაიგდებოდნენ ხელში სუვოროვს. კლდეებში ყველგან ჩასაფრებული იყვნენ საფრანგეთის მხედრები და ისე ესროდენ რუსებს. ამას გარდა მთებში ისეთი ბურუსი იდგა, კაცი კაცს ვერ ჰქონდავდა და თან საშინელი წვიმაც ასხამდა. რუსეთის ჯარის კაცებს სულ ერთიანათ შემოცვეთილი ჰქონდათ ტანისამოსი და ფეხთხაცმელი; არც საჭმელი და არც სასმელი არ გააჩნდათ. სალდათები ხანდახან დაფარულათ დრტვინავლენენ. ერთხელ, ილაჯი რომ აღარა ჰქონდათ, უარის თქმაც დააპირეს წინ წასვლაზე, მაგრამ მოხერხებულმა სუვოროვმა გაათხრევინა საფლავი და უბრძანა თავის ჯარს, ჯერ დამმარხევ ცოცხალი და მერე რაც გინდათ, ის ჰქენითო. სალდათებმა რომ ეს გაიგონეს, მოიკრიფეს უკანასკნელი ლონე, გამხნევლენენ და წინ წავიდნენ.

ასე და ამ გვარათ ყოველ გვარი დაბრკოლება სძლია სუვოროვმა და ბოლოს, როგორც იყო, მივიდა შვეიცარიაში, მუტენის ხეობაში.

მაგრამ აქ კიდევ უარესი საფრთხე მოელოდა სუვოროვსა და მის დაქანცულ ლაშქარს. დასვენება ვერც კი მოასწრეს, რომ გარს შემოერტყა სამოცი ათასი დაბრჩეული საფრანგეთის ჯარი. ამ ჯარის უფროსს გრენას ეჭვი არ ჰქონდა, რომ შეიპყრობდა სუვოროვს. მაგრამ სუვოროვი არც ამ განსაკუდელს შეუშინდა. მან





საჩქაროთ თათბირი მოახდინა და გადასწყვიტა ეომათ უზარღვევისა  
საფრანგეთის ჯარების რაზმები და თავი დაელწიათ. მართლაც, გაი-  
მართა სასტიკი ბრძოლა; სუვოროვი არა თუ დანებდა მტერს,  
პირ-იქით სძლია ისინი და თავისი ლაშქარი სამშვიდობო აღილს  
მიიყვანა. ამის შემდეგ რუსებმა თავი დაანებეს ომს და სუვოროვს  
ბრძანება მოუვიდა იმპერატორისაგან, რომ რუსეთში დაბრუნებუ-  
ლიყო.

სუვოროვი ასეც მოიქცა. მაგრამ მოხსენებული ომის დროს  
გმირი სარდალი ძრიელ მოტყდა და დასნეულდა. როცა პეტერ-  
ბურღში მოვიდა, ავათმყოფი იყო. აქ კიდევ უფრო იმატა მისმა  
უძლურებამ და 6-ს მაისს 1800 წელს კიდეც გარდაიცვალა. იგი  
იგლოვა მთელმა რუსეთმა და დიდის ამბით დაასაფლავეს სამების  
ლავრაში.

წელს 6-ს მაისს რუსეთმა დიდის აღტაცებით მოიგონა მისი  
გარდაცვალება და იდლესასწაულა. ის ეპკლესია, რომელშიაც სუ-  
ვოროვი ლოცულობდა სოფელში ყოფნის დროს, დაარღვიეს,  
პეტერბურღში გადმოიტანეს რკინის გზით და იქ დადგეს. თან  
ძვირფასი ძეგლიც აუგეს თავის სახელოვან გმირს.

პ. წეალტუბელი.





## ჩატარა მკითხველების წერილები

ქ. თფილისი.

საყვარელო რედაქცია!

მე მივდივარ პარიზში. მე ვიყავი კრუფოკში და ძალიან მამეშონა. იქ უქრამდა მუზიკა და ბავშვები თამაშობდნენ. იქ ძალიან ბევრი ვიმხიარულე.

თამარა ნიკოლაძე (8 წლისა).

—  
საყვარელო რედაქცია!

როგორი კარგი კაცი ყოფილა გოგებაშვილი, მიტომ რომ ამდენი კარგი ამბები დასწერა. მე ძალიან მეწყინა რომ ინგლისელებმა აჯობეს ბურებს. ჩემი ძმის ამხანაგს ტუჩზე ხორც-მეტი ჰქონდა, საავათმყოფოში არ დაუძინებიათ, ისე მოკრეს ის ხორც-მეტი, მაგრამ ისეთი გულადი გამოდგა ბავშვი, ხმაც არ-ამოუღია. ექიმი თოფურია გაკვირვებულია იმისი სიმამაცით. მე მყავს ერთი პატარა ამხანაგი, 8 წლისა ლევანი, იმას თავისი მიზეზით დიდი უბედურება და-ემართა; ერთ დღეს ძალიან ბევრი ხენდრო ჭამა. მეორე დღეს გააცივა, მისცა



დიდი სიცხე, თავში აუგარდა და გული შეუწუბდა, ძლივს გარდამატებული მამა კინალამ ჯავრით დაიხოცნენ, ჯერაც ლოგინში წევს. მე აწი ბერ ხილს არ ვჭამ. თქვენც ამასვე გირჩევთ.

თამარა ჭიჭინაძე (8 წლისა).

სოფელი ხოვლე.

საყვარელ ჯეჯილის რედაქტორს.

მე ძალიან მიყვარს ჯეჯილის კითხეა. წავიკითხე ყველა მოთხრობები და ამბები. ყველაზე უფრო მომეწონა „მარო და მერცხალი“, „პატარა მეგაზეთ“, „ვანო და ჩიტი“ და „ფოფის მასწავლებელი“. მე მყავს ტიკინი, რომელიც თვალებსა ხუჭამს, იცის ჯდომა და დგომა.

ჯეჯილის მოსიყვარულე თამარო წერეთელი. (6 წლისა.)

საყვარელო რედაქტორო!

მე ჯერ პატარა ვარ და მარტო აკროსტიხი გამოვიცანი. პირველი ასოები ასე გამოდის. მაისის თვეა.

მასწავ. ქალ. საზ. სკოლის მოწავე აზნილ ბაქრაძე. (8 წლისა)

ძვირფასო რედაქტორო


მე ძალიან გამეხარდა, რომ „ჯეჯილში“ ჩემი სახელი და გვარი ამოვიკითხე, რაღაც ეს უურნალი ძალიან მიყვარს. უკანასკნელ ნომერში მე გამოვიცანი რებუსი, ზმები და შარადა.

თქვენი პატავის მცემელი მასწავლ ქალ. საზ. სკოლის მოწავე ირაკლი ბაქრაძე (10 წლისა)

დაუვიწყარო რედაქტორო!

სულ ყველაფერი მომეწონა ჩვენ საყვარელ „ჯეჯილში! უმეტესათ მომეწონა: გაზაფხული; კიდევ მომეწონა: გულ-დაკოდილი ნატო, სამი ქურდი, ჰა-რში ფრენა... გინდაც ვერაფერი ქალი იყოს თამარა ნიკოლაძე, ქეთო ბაქრაძეს მაინც არ უნდა მიეყენებინა მისთვის შეურაცხყოფა

დიმიტრი დეკანზიშვილი. (11 წლისა)



ქ. თფილია.

საყვარელო რედაქცია!

მე ძალიან მიხარიან, რომ უეგზემენოთ გადავედი შემდეგ კლასში და არ გაეხდი დასაციინი ჩემი ძმისა, რომელიც აგრესო უეგზემენოთ გადავიდა შემდეგ კლასში. მე ნომერშონა მაისის ნომერში „მცირე რამ სათხოვარი“, „მერცხალი“, „ჩვენი ერთგული მეგობრნა“, „ყმაწვილების თვით-მოქმედება ამერიკაში“, „მოწყალე ღირ“. .

თქვენი მოსიყვარულე „ჯეჯილის“ მკითხველი მარიამ კვალიაშვილი (9 წლისა).

ქ. თფილისი

საყვარელ „ჯეჯილის“ რედაქციას.

მე წავიკითხე მაისის „ჯეჯილი“ და მომეწონა შემდეგი ლექსები და მოთხოვბები: „გულ-დაკოდილი ნატო“, „გულქანის დედოფლები“, „მცირე რამ სათხოვარი“, და უფრო „ყმაწვილების თვით-მოქმედება ამერიკაში“. ძლიერ კარგი იქნებოდა, რომ ჩვენშიაც იყოს ასეთი სასწავლებლები. „სამი ქურდი და“ ორგვარი ნატერა“ სხვა დაბეჭდილ წიგნებშიაც წამიკითხავს. მე ძალიან მიყვარს „ჯეჯილის“ კითხვა. თქვენი „ჯეჯილის“

მკითხველი თამარა მაჭავარიანი (12 წ.).

დ. ცხინვალი

ჩვენო, ერდგულო, საყვარელო რედაქცია!

მე-ნ ნომერში მომეწონა მერცხალი და მოწყალე ღირო, სხვა მოთხრობებსაც არაუშავდათ რა, ბაჩანას „მდინარე მეტათ მშვენირათ იყო დაწერილი და გულქანის დედოფლებიც კარგი რომ იყო. რადგანაც მე დედოფლების უსტა ბაში გახლავარს, თ. რაზიკაშვილს მადლობას გწირამ, რომ გამაშტიაულა და ბერი მაცინა. თქვენი მოსიყვარულე

„ჯეჯილის“ მკითხველი ოლა ქასჩაძე (10 წლისა).



## ხ ა ლ ხ უ რ ი ლ ე ქ ს ი

(სადღეგრძელო, ჩაწერილი ლექსუმში ა ზაბულიანისაგან).

გაცოცხლოს და გადღეგრძელოს,  
მოგცეს ადამის დღენია;  
წირვა-ლოცვა შეგეწიოს,  
სადაც იმოსოს ღვდელია.  
მტერი რომ წინ შეგეყაროს,  
კისერს წაავლო ხელია,  
გაღმოაბრუნო, გაარტყა,  
ზურგზე აღინო მტვერია,

## ა კ რ ო ს ტ ი ხ ი

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან).

წყეულმა მტერმა ჩაიგდო ხელში,  
ქრისტეს მოყვარე და სათნო ქალი;  
ეუბნებოდენ: „ქრისტე უარ ჰყავ,  
თვარა მიიღე ტანჯვა მრავალი!“  
ეღიმებოდა მწარეთ ლმობიერს:  
„ვაჲ, ჩემს სიცოცხლეს, რას შევესწარი!

არა, მტარვალნო! თქვენა სცდებით, რომ  
ნებით უარ ვყო, მე ქრისტეს ჯვარი!..“  
დაატუსალეს წმინდა არსება.  
ექცეოდენ მას მეტათ საზიზღრათ;  
დააგლიჯეს მთლათ გრძელი ნაწნავნი,  
ორივე ძუძუ დააჭრეს მწარათ!..  
ფერი დაპკარგა, ხორცი ეწოდა,  
არ უღალატა მაინც რჯულს, ენას!!  
ლოცვებს ამბობდა წამების დროსაც,  
ის შეჰყურებდა ვედრებით ზენას.

### ა ნ დ ა ზ ე ბ ი

(წარმოდგენილი დ. თომაშვილისაგან).

ჩემმა ტიკტიკა ენამა მევე გამარტყა ყბაშია.

უვავს აფრენა უნდოდა და ხელის აქნევას უცდიდაო.

ავათმყოფი რომ მორჩება ექიმი შესძულდებაო.

— ჩვეულებამ პანლური ამომკრაო.

### გ ა მ ო ც ე ნ ე ბ ი

(წარმოდგენილი თ. რაზიკაშვილისაგან)

დედასა შვილი მოსტაცეს, ნორჩი ახლათა შობილი,  
სადაც მივიდა იქ დახვდა თვით თავისივე ძმობილი.



ସାହଳି ପିତ୍ତରା, ଜାଲୀଥ ଫିଲ୍‌,  
ମେତାତ ପିତ୍ତରାତ ଅଗ୍ରଦୁଲୀ;  
ଇଶାରୀ ଗ୍ରେସରିସ ଲା ଏଠା ଗ୍ରେସ,  
ଗାନ୍ଧିଆ ଲାତିଗ ଫିଲ୍‌ଏବୁଲୀ.

ବ୍ୟାକିନୀ ବ୍ୟାକିନୀରାବୁଲୀ,  
ବ୍ୟାକିନୀଗ ଅଗ୍ରଦେବ ପିନ୍ଧେଶା


ବ୍ୟାକିନୀ ଗାମନିକାତକିମ୍ବେଲୀ.

(ଭାରମୋଦଗ୍ରେନିଲ୍‌ ଓ. ଲେକାନ୍ତାନିଲ୍‌ବାବାନ)

କୁରାଦି କୁରା ତେତରା-ଗାକୁରା ଗାକୁରା ତେତରାବୁଲୀ.

କୁରାଦି କୁରା ତେତରାବୁଲୀ

(ଭାରମୋଦଗ୍ରେନିଲ୍‌ ବାନୀ ତେତରାବୁଲୀବାବାନ)



ମିଶ୍ରମାତ୍ରେ ଏଥି ନାରାତ ଲାଖୁବିଲ  
ମିଶ୍ରମିଶ୍ରମିଶ୍ରମ କିନ୍ତୁ ଏହା ଲେଖି ମିଶ୍ରମ  
ମିଶ୍ରମ, କାମ ଗାମନିକାତକିମ୍ବେଲୀ  
କିନ୍ତୁ ଏହା ତାନାଶିଖରି ଫିଲ୍‌ଏବୁଲୀ.

ବ୍ୟାକିନୀ ଗାମନିକାତକିମ୍ବେଲୀ

(ଭାରମୋଦଗ୍ରେନିଲ୍‌ ମ. ଲେଲାନିଲ୍‌ବାବାନ).

କାନ୍ତିଲୋକ ଉତ୍ସିଲାଙ୍ଗ, ମେତାତ ପିତ୍ତରାତ ନାର୍କେବା,  
ମଧ୍ୟାଵରୀ ମିଶ୍ରମ ମିଶ୍ରମିଶ୍ରମ, କାମ ଗାମନିକାତକିମ୍ବେଲୀ  
ମେତାତ କି ସାହଳିବାତବିଶ ମିଶ୍ରମିଶ୍ରମ ମିଶ୍ରମିଶ୍ରମ,  
ନାର୍କେବା ଏହା କାନ୍ତିଲୋକ ଏହା କାନ୍ତିଲୋକ.

ର ଗ ଦ ଭ ନ ି

ଫିଲ୍‌ଫିଲ୍‌ଫିଲ୍‌

ମହିଳା

ଏ



ମହିଳା



ବି



ଫିଲ୍‌ଫିଲ୍‌  
ଫିଲ୍‌ଫିଲ୍‌



ଏ



ଫିଲ୍‌ଫିଲ୍‌



ଏ



ବି

ବି



№ V „ՅԵՅԱԼՈՂԻՔ“

Այրուստիքո: մասնև տցեա.

Ցամուրանեծո: 1) լուսարո, 2) ծապապո, 3) լույզո.

Չմա: ոլուս վազազածյ, այսու նշերետելո, հագույղ յրուսընո, մոռա հայսկազելո.

Տուրպատ ցամուրանա: ցայթ գլազուրա.

Մայրականա: տուրամայլուս վագրոնո թոյբի դացեծն այնելուս.

Մար աճա: դադա-դարո-դադարո.

Հեծուսո: ցուլ ծորութս կապսա յրուցյ, եւ ցավլո մուսսա մեալյսա.

Այրուստիքո, ցամուրանեծո, չմա, տուրպատ ամուրանա, մարածա հեծուսո և սեպա ցամուրնեց, տցյ. սատազալ. ան. կյուլուս մուսիչազ. ըսմ. գյուղանոհութեալմա, լինցալնու: ոլու վարաժեմ, պարունուս նորմ. սամ. մուսիչազլյմ ցր. հեցույց, ծաեցու որկլասօնո կյուլուս մուսիչազլյյեմ: սոմ. վանույցածյմ և ըսմ. վանույցածյմ, աւշանուս որկլասօնո կյուլուս մուսիչազլյյեմ: ոլում. տալուկածյմ, սուս սեղյերելուածյմ, հայ. հեծունութեալմա, զլ. պէտունունույց, զած. սարութեալմա, սարգուն պէտունույց և վանդ. տալուկածյմ.

საქმეში კილო 6, ხატებიანი ქურნალი

# „ჯეჯილი“

წმლილადი მითირთხმეთი

გამოვა 1900 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქვთ.

ქურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თვილისის საქართვისა და კავკასიის დაცვის სამინისტროს მიერებისაგან სასწავლებლის სამკითხველოებში საკითხებათ.

ქურნალი „ჯეჯილი“ თვილისში დატარებით დირს 4 მან. თვილისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომერი 50 კაბ.

სელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

სელის მოწერა მიიღება:

1) თვილისში — „წერა-კითხვის გაბ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101), და თვილი „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетского корпуса)

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію  
грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.